

ბებებუბი

საქართველოს
ბავშვთა გაზეთი

140/2
2003



გამთიწევეთ,
იყიდეთ,
იკითხეთ
თქვენნი უუჩნადი

ნაბადული

2003 წლის იანვრიდან „ნაყარალო“ 1 კონი იქირიფა, წლიური ხელონჭი-9 კონი





ნაბადული

საყმაწვილო ჟურნალი
2003 წ. № 1

ჩუენი ქუენალი 1904 წელს სასიდედელო მამულიშვილოთ მესეუქმდით დეატსემული პიბეული ქატული საყმეწვილო ქუენალის ნათემატბეა ამბბბბბბ. მბგვიანემით მას სასელი მეეეეეეეე და „პიბნეტი“ ეწბდა, 1990 წლიდან კი იგი კულაე თაეისი პიბეანბელი სასელით გამბბბბ.

ნომრის შინაარსი

ბეღბბბბბა დავბბბბბბ, ჩემო საყარბბბბბბ	3
საბბბბბბბბბბ საბბბბბბ „ვამბბ“	4
თემბბბ ბედი თემბბბბბბ ხელბბბ	5
ბამბბბბბ (მბბბბბბ)	7
„ლოზბბბბ“	11-19-24
მსოზულიო კიბბბ კიბბბბ	12
პრატბბბბული ფსბბბბბბბ მბზარბბბბბბბ	13
პაცსაბბბბ კონაბბბბ	16
მბბბბბბბ კული და ბაბბბბბ (ბუნბბბ კარი)	18
არსბბბბბ თუ არა მბბბბბბბ	19
რბბ არბს ბეღბბბბ ბონბა მასზაბბბბბ	22
საბარბბბბბ ბბბბბბბ კვლავ იბბბბბ	23
სბბბბბბბბ ბბბბბ	24
ბბბბ ბბბბბბბბბბბ	26
ქართული ხალხური მუსბბბ	28
ალზარბბ ბბბ მბბბბბ	29-30
სიბბბბ ბაკვბბბბ	31
იზბბბ-ბბბბბ	32

რედაქტორი მანანა ბელაბბბბ	მბსამართი: 380008, თბბბბბ, კოსტავას ქ. 14 ტელეფონბბ: 93-31-81; 93-18-84. ინბბბბ: 76157 ფასი 1 ლარი რეგისტრბბბბბბ მთაწმბბბბბ სასამართლოში
--------------------------------------	--



ბოლოს და ბოლოს 2003 ცხვრის წელია თუ თხისა?



ასტროლოგია, ვარსკვლავთმცოდნეობა ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, იგი უხსოვარ დროში ჩაისახა, მისი პრაქტიკულად გამოყენება კი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოთხი-ხუთი ათასი წლის წინათ დაიწყო. პირველი ასტროლოგები შუმერები, ბაბილონელები, ქალდეელები იყვნენ... ასტროლოგია ადამიანს შეიმეცხვებს არა როგორც ცალკე არსებას, არამედ როგორც მთლიანი სამყაროსეული შერწყმის შემცირებულ მიკროინდივიდუალობას. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ეს მეცნიერება გელათისა და იყალთოს აკადემიებშიც ისწავლებოდა.

„ჰოროსკოპი“ ბერძნულად დროის მაჩვენებელს ნიშნავს. ასტროლოგიური ჰოროსკოპი ორი გარემოებით განისაზღვრება – მზის, მთვარის და სხვა პლანეტების მდგომარეობით და ზოდიაქოს ნიშნებისა და თანავასრუკვლაველების განლაგებით ადამიანის დაბადების მომენტში.

ბოლო ხანებში მთელ მსოფლიოში ფართოდ გარვცელდა აღმოსავლური-იაპონური, ჩინური, ვიეტნამური კალენდრები, ჰოროსკოპები, რომლებშიც გამომდინარე ადგილობრივი რელიგიიდან, წელთაღრიცხვის სისტემიდან და ძველი ფილოსოფიიდან, გამოიყენება სხვადასხვა ნიშნები, სიმბოლიკა, ბუნების ხუთი ელემენტი (ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი და წყალი), ბუდისტურ ზოდიაქოში შემავალი თორმეტი ცხოველი: თაგვი, ხარი, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ცხვარი (ვერძი), მაიმუნი, ქათამი (მა-

ალი), ძაღლი, ტახი (ღორი). ძველი გადმოცემების თანახმად, ზოდიაქოს ნიშნები ზეგავლენას ახდენს ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთა ხასიათზე.

ჩინელებისთვის წლევეანდელი წელი თხისაა, იაპონელებისთვის კი-ცხვრის, ხოლო ჩვენ სხვა გზა არ გვჩვენებს – უნდა შევთანხმდეთ და გამოვაცხადოთ, რომ წლევეანდელი წელი თხისაცაა და ცხვრისაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ცხვარი და თხა თითქმის ყოველთვის ერთად მოვხვდებით და არც არასდროს ერჩიან ერთმანეთს. ცხვარიც და თხაც მშვიდი ცხოველები არიან, ადამიანს არ ერჩიან, პირიქით, ემსახურებიან მას.

ერთ რამეში ორივე ქვეყნის ასტროლოგები ერთსულოვნები არიან – 2003 წელი სიყვარულით გამოჩენილი წელი იქნება. ჩინელები თხის წელიწადს ციურ ენერჯიასთან – „იანთან“ აიგივებენ და დარწმუნებულები არიან, რომ იგი უამრავ დადებით ცვლილებას მოიტანს ჩვენს პლანეტაზე. ასტროლოგთა აზრით, ხუთი

დიდი პლანეტა: იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი ისეთ ურთიერთობას დაამყარებს ერთმანეთთან, რომ ადამიანებს მოყვასის მიმართ სიყვარულითა და სითბოთი განაწყობს.

წლევეანდელი წლის სიკეთეზე მეტყველებს ასტროლოგთა პროგნოზები ზოდიაქოს თორმეტივე ნიშანთან დაკავშირებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ოპტიმისტურია.

წლევეანდელი წლის ძირითადი ფერებია შავი, ლურჯი და ჟღალი. სასურველია შალის და ანგორის ტანსაცმლის ტარება (ცხადია, ლაპარაკია ცივ ამინდზე).

ჩინური ჰოროსკოპი			
ვირთხა	ხარი	ცხენი	თხა
1900	1901	1906	1907
1912	1913	1918	1919
1924	1925	1930	1931
1936	1937	1942	1943
1948	1949	1954	1955
1960	1961	1966	1967
1972	1973	1978	1979
1984	1985	1990	1991
1996	1997	2002	2003
ვეფხვი	კატა	მაიმუნი	მამალი
1902	1903	1908	1909
1914	1915	1920	1921
1926	1927	1932	1933
1938	1939	1944	1945
1950	1951	1956	1957
1962	1963	1968	1969
1974	1975	1980	1981
1986	1987	1992	1993
1998	1999	2004	2005
დრაკონი	გველი	ძაღლი	ღორი
1904	1905	1910	1911
1916	1917	1922	1923
1928	1929	1934	1935
1940	1941	1946	1947
1952	1953	1958	1959
1964	1965	1970	1971
1976	1977	1982	1983
1988	1989	1994	1995
2000	2001	2006	2007




ბედნიერება დავეყვებო, ჩემი საქართველო!

მეთოხე „ბ“ კლასი ერთ-ერთი საუკეთესოა ქ. საგარეჯოს №2 საშუალო სკოლაში. ამ კლასის მოსწავლეებს ძალიან უყვართ მშობლიური სკოლა, ყველანი სიამოვნებით და ხალისით სწავლობენ, ამიტომაც ჰყავთ ამდენი ფრიაღოსანი. ყოველივე ეს კი უწინარეს ყოვლისა კლასის დამრიგებლის, ქალბატონ ირინე ნადირაშვილის დამსახურებაა. მეთოხეკლასელებს რომ ჰკითხოთ, ყველაზე მეტად ვინ უყვართ, უმრავლესობა მშობლების შემდეგ ირინე მასწავლებელს დაგისახელებთ. მან გადაადგმევინა მათ პირველი ნაბიჯი ცოდნის სამყაროში, მან ასწავლა ანა ბანა, მან შეაყვარა წიგნი და მიაჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას.

ვნახოთ, როგორ შეევეებნენ ირინე მასწავლებლის აღსაზრდელები ახალ წელს, რა საახალწლო სურვილები ჩაიფიქრეს, რა ინატრეს თავისთვის, თავისიანებისთვის, თავისი სამშობლოსთვის.

გიორგი ტიზინაშვილი: ახალი წელი ძალიან მიყვარს, მარტო იმიტომ კი არ მიხარია ხოლმე ახალი წლის დადგომა, რომ არადავები გვეწყება, ამ დღეს ყველა გახარებულა ხოლმე, ყველა ხალისობს, იძლება სუფრა, ყველას იმედი უწნდება, რომ ახალი წელი ძველზე უკეთესი იქნება. მეც მჯერა, რომ ამ წელს უფრო კარგად ვისწავლი, უფრო კარგი ბიჭი ვაგხდები.

ამბობენ, რომ მე ფეხბედნიერი ვარ და ამიტომაც კარგ მეკვლევ ვითვლები. წელს მე ჩემი კლასელის მარი ხითარიშვილის ოჯახის მეკვლე ვიყავი. მათთან ადრეც ვყოფილვარ მეკვლევ და ყოველთვის კარგი ფეხი მიმაქვს. ერთხელ რომ მივედი, ოჯახში გოგო გაჩნდა, მეორედ რომ ვიყავი მათი მეკვლე, ბიჭი დაიბადა. იმედი მაქვს, ხითარიშვილებს წელსაც ბედნიერება და სიკეთე დაებედათ.



ლიპა დარბაისელი: მე დეიდაჩემის ოჯახში შემიგულა მეკვლევ, მიაჩნიათ, რომ მე მათთვის სიხარული და ბედნიერება მომაქვს და ის წელი, როცა პირველი მე შევდამ მათთან ფეხს, დალოცვილი იქნება ოჯახისთვის. მე მგონი, მეკვლევ მაშინ ამირჩიეს, როცა მე პირველად ვიყავი მათი მეფეხური და სწორედ იმ წელიწადს ოჯახში ბავშვი გაჩნდა. ახალი წელი უკვე დადგა, საახალწლო ჟრიამულმა და ღვინამ უკვე ჩაიარა, მინდა, რომ ყველა უსიამოვნება, დარდი და ტკივილი ძველ წელს გაჰყვეს და ახალი 2003 წელი მთელი საქართველოსთვის ფეხბედნიერი გამოდგეს.



აბო მონიაშვილი: რა ვიცი, მე მგონი, საერთოდ, მაინცდამაინც კარგი ფეხი არა მაქვს, თუმცა იმედი მაქვს, რომ ბებიას, რომლის მეკვლევ წელს ვიყავი, სიკეთე, ჯანმრთელობა და ბედნიერება დაეკვებება, ყოველ შემთხვევაში მე ამ სურვილებით შევაბიჯე მის სახლში და როცა ვკოცნიდი და ვულოცავდი, პირველ რიგში ამას ვუსურვებდი.

ჩემს საქართველოს კი ვუსურვებ მშვიდობას და კეთილდღეობას, მინდა, რომ ბოროტება მოისპოს და ქვეყანაზე მხოლოდ სიკეთე გამეფდეს. კიდევ ამ ახალ წელს აფხაზეთის დაბრუნებას ვინატრებდი და ჩემს მშობლებს, ახლობლებს სიკეთეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ.




მარი ხითარიშვილი: წელსაც სიხარულით შევეგებე ახალი წლის მობრძანებას. საერთოდ ძალიან მიყვარს წინასახალწლო სამზადისი, როცა დედა ბევრ გემრიელ რამეს ამზადებს. წელს დედას გოზინაყის გაკეთებაში მეც მივეხმარე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს გოზინაყი და საერთოდ, ტკბილეული, მერე თვითონაც ხომ უნდა ვისწავლო, რათა მომავალში დამოუკიდებლად გავაკეთო ხოლმე. სიამოვნებით ვიქნებოდი მთელი საქართველოს მეკვლე, ბედნიერებას, ერთიანობას და სიკეთეს დავესუკებავდი ჩვენს ხალხს.



მარი ყაზარაშვილი: მე ვფიქრობ, რომ არ არსებობს ბავშვი, რომელსაც ახალი წლის მობრძანება არ უხარია, მეც ძალიან, ძალიან მიყვარს ახალი წელი. ამ დროს ყველა ივიწყებს დარდს და ტკივილს, ყველას უხარია, გული ყველას იმედით ევსება. ასე იყო წელსაც. ძალიან ვიმხიარულეთ, თითქმის მთელი ღამე გავათენეთ, ვისროდით მამხალეებს, ვიცინოდით, დაეხტოდით. მინდა, რომ ჩემთვის და მთელი ჩვენი ქვეყნისთვის მთელი წელი ასეთივე ბედნიერი და სიხარულით აღსავსე იყოს, როგორც ახალწლის ღამე...



მაკა უსტიაშვილი: გავაცილეთ 2002 წელი და თითქმის ერთი თვეა დაიწყო ახალი, 2003 წელი. ძალიან მინდა, რომ ეს წელი ბედნიერი იყოს, იყოს მოსავლიანი და რომ წელს მაინც მოწესრიგდეს შუქის ამბავი საგარეჯოში და მთელ საქართველოში, რა იქნება, რომ სინათლე აღარასდროს გამოირთოს?!




ზურაბ ტატიანაშვილი: მე ძალიან მინდოდა და ჩაეფიქრე კიდევაც სურვილი, რომ ამ თოვლიან ზამთარში თოვლის პაპას დიდი მარხილი ჩამოეტანა ჩემთვის და ერთად გვესრიდალა, მაგრამ...

ნინო როსტიაშვილი: დამთავრდა ახალი წლის საზეიმო დღეებიც და ჩვენი არდადეგებიც, ჩვენ კვლავ შეუდგებით სწავლას. ჩემი ნატურაც სწავლას უკავშირდება – მინდა ხუთებზე ვისწავლო არა მარტო ამ წელს, არამედ სულ, სკოლის დამთავრებამდე და კიდევ მშვიდობას ვინატრებდი. მშვიდობა სჭირდება საქართველოსაც და სხვა ქვეყნებსაც.



ზაურ შაპარაშვილი: მინდოდა, რომ თოვლის პაპას საახალწლოდ ფული და კიდევ მინიმოპედი გამოეგზავნა ჩემთვის...



„ნაკადუსი“ საინფორმაციო საბავშვო „ფაქსი“



„ლიდიცას ვარდი“ – ნორჩ მხატვრებს

ბავშვთა ეს საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი იმ ბავშვების ხსოვნას ეძღვნება, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულ ფაშისტთა მიერ პატარა ჩეხური ქალაქის ლიდიცეს განადგურების დროს დაიღუპნენ. წლებივანდელი კონკურსი რიგით 31-ე იყო, საქართველო კი მესამე წელია მონაწილეობს ამ ღონისძიებაში. „ლიდიცე 2003“-ში მონაწილეობის სურვილი საქართველოს 4-დან 16 წლამდე ასაკის 150 ბავშვმა გამოთქვა. წარმოდგენილი ნამუშევრებიდან 12 საუკეთესო შეირჩა. წლებივანდელ კონკურსში საუკეთესოებად თბილისის ბავშვთა გალერეის ორი ნორჩი მხატვრის – მაკა ზედელაშვილის და მედეა მარტიროსოვის ნახატები აღიარეს. კონკურსის უმაღლესი ჯილდო „ლიდიცეს ვარდი“ გამარჯვებულებს საქართველოში ჩეხეთის ელჩმა ირჟი ნეკეკესილმა გადასცა. გამოფენა-კონკურსის დანარჩენი ლაურეატები სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

საბავშვო პოეზიის საღამო

მასწავლებელთა დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის საქალაქო ინსტიტუტმა საიბულო საღამო გაუმართა ცნობილ საბავშვო პოეტს და მოზარდ მაყურებელთა თეატრის, ღვაწლმოსილ მსახიობს ცირა ქიტიაშვილს. ეს იყო ძალზე თბილი შეხვედრა, რომელზეც უფროსებთან ერთად, ქალბატონ ცირას შემოქმედების ნორჩი თყვანისმცემლებიც მოვიდნენ. პოეტმა სიამოვნებით უპასუხა პატარების კთხევებს, ბოლოს კი საკუთარი ლექსებითაც გაახარა ისინი.

სასწავლო-კომპიუტერული ცენტრი დადოფლის წყაროში

მას შემდეგ, რაც დადოფლის წყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის თ. ბაღაშვილის პროექტმა „ღია საზოგადოება-საქართველოს“ 2002 წლის კონკურსში გაიმარჯვა, ამ საგანმანათლებლო აღმზრდელით დაწესებულებაში სასწავლო-კომპიუტერული ცენტრი ჩამოყალიბდა. პროექტის გამოქვეყნებით მოსწავლე

ახალგაზრდობის სახლმა მიიღო 4 ათასი დოლარის ღირებულების 5 კომპიუტერი პრინტერთა და სკანერთ, მოხერხდა ინტერნეტის ქსელში ჩართვა. ამჟამად დადოფლის წყაროს სასწავლო ცენტრთან მოქმედებს 16 წრე, სამუსიკო და ქორეოგრაფიული სტუდიები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი, ინტელექტუალური, მოგზაურობის მოყვარულთა კლუბი და სხვა. ევროსტანდარტების დონეზე აღჭურვილ კომპიუტერულ ცენტრში უფასო ერთწლიან სწავლებას დადოფლის წყაროს 6 სკოლის 150 მოსწავლე გაივლის.

პრიზი დადოფლის მეუღლე გადასცა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტმა სოფიო გორგოძემ ინგლისურენოვანთა კავშირის მიერ გამართულ ორატორთა კონკურსში სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელ 49 მონაწილეს აჯობა და პირველი პრიზი დაიმსახურა. ჯილდო ქართველ სტუდენტს ბუკინჰემის სასახლეში ინგლისის დადოფლის ელისაბედის მეუღლემ პრინცმა ფილიპმა გადასცა.

თქვენი გული თქვენსავე ხელში

რამდენად მომზადებულები გახვალთ ცხოვრების დიდ გზაზე?

საქმიანობის რომელ სფეროს აირჩევთ?

რამდენად სწორად მოძებნით საკუთარ ადგილს საზოგადოებაში?

როგორ ბედს გამოჰყვდავთ სათქვენოდ?

სულ 10-15 წლის წინათ თქვენს თანატოლებს ძირითადად განსაზღვრული ჰქონდათ მოწიფულობამდე სავალი გზა: უმრავლესობისთვის - სკოლა - უმაღლესი სასწავლებელი, ნაწილისთვის - სკოლა - საშუალო სპეციალური სასწავლებელი, უფრო მცირე ნაწილისთვის - სკოლა - წარმოება. IX-X კლასში თითქმის ყველამ იცოდა, სად უნდა გაეგრძელებინა სწავლა, მშობლებისგან ჩაგონებული ჰქონდათ, რომელი სპეციალობა უფრო გამოადგებოდათ საზოგადოების ზედა ფენებში დასამკვიდრებლად, შეძლებული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. მოდაში ექიმობა იყო, პრესტიჟულად ითვლებოდა იურისტობა, ინჟინრობა, კარგ მომავალს უქადადა ეკონომისტობა, დიდი იყო სწრაფვა ფილოლოგიის, ჟურნალისტიკის, ისტორიის, უცხო ენებისადმი. პერსპექტიულად იყო მიჩნეული ზუსტი მეცნიერებები... იმათ კი, ვისაც უმაღლესში ჩარიცხვის იმედი არ ჰქონდათ, ფაბრიკა-ქარხნები

ელოდებოდა - ელმავალმშენებელი, ჩარხმშენებელი, მეტალურგიული, ორთქლმავალვაგონშემკეთებელი, ელექტროგამშვები, წინდების ფაბრიკა, მაუდკამპოლის კომბინატი, აბრეშუმის ფაბრიკა... რაიო-



ნებში კი - შესაბამისად - კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ეს გუშინ. დღეს კი, როცა ასე ერთბაშად შეიცვალა და გამრავალფეროვნდა თვით ცხოვრების სტილი, უსაზღვროდ გაფართოვდა შესაძლებლობები, არჩევანი, გაიზარდა ორიენტაციის სიძნელეებიც, დიდი სირთულეები მოიტანა ფასეულობათა სისტემის შეცვლამაც. წარმოუდგენლად გაიზარდა საკუთარი გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება, მაგრამ იმავედროულად ამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაც მკვეთრად გაიზარდა. ბავშვებსა და მოზარდებზე სულ უფრო ინტენსი-

ურად ზემოქმედებს თავისუფალი დროის ატრიბუტების დამამზადებელი მრეწველობა; რეკლამა მხოლოდ არდადეგების, დასვენების, შვებულების, „თავისუფალი დროის სამყაროდ“ წარმოადგენს ჩვენს სამყაროს. ახალგაზრდები იბნევიან, თუმცა ერთი რამ მტკიცედ იციან - კარგი ცხოვრება უნდათ, ისეთი, კინოში რომ ხედავენ, ისეთი, ყველა სხვა ქვეყანაში რომ ეგულებათ, გარდა საქართველოსი, ის კი მიახლოებითაც არ იციან, რა ორიენტირს უნდა მიჰყვნენ, ასეთი ცხოვრება რომ ჰქონდეთ. რალაც მეტნაკლებად გამოკვეთილ კონტურებს თითქოს ხედავენ - გზის გასაკვალავად, მეტნაკლებად ხეირიანი სამუშაოს საშოვნელად აუცილებელია ინგლისური ან უკიდურეს შემთხვევაში გერმანული ენის ცოდნა, კომპიუტერზე მუშაობის ჩვევების ფლობა. ხოლო უფრო ნათლად მათთვის კიდევ ერთი რამ გამოიკვეთა - ფეხზე მყარად დღეს ბიზნესმენები, კომერსანტები, ბანკირები დგანან.

ხვალ? ხვალ როგორ იქნება საქმე?

მოინდომებს დღევანდელი მთავრობის შემხედვარე, რომელიმე თქვენგანი მასწავლებლობას, ექიმობას, ინჟინრობას, ისტორიკოსობას, ფიზიკოსობას?...
გაგრძელება მე-6 გვ.



თუ ყველანი პოლიტიკოსობას, ბანკირობას, მენეჯერობას, დიპლომატობას, ბროკერობას, კომერსანტობას, ბიზნესმენობას მოიწადინებთ?

ბუნებრივი მოვლენაა, დროს, პროგრესს, განვითარებას, ცვლილებებს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში - ხოლო საქართველოში ამჟამად უდიდესი ძვრებისა და გარდაქმნების ჟამი გვიდგას - გარდაუვალად თან სდევს

ტრადიციულს უკან დახევა და ახლის თამამი წინსვლა. წარმატება კი მხოლოდ ძველისა და ახლის შერწყმამხამებას მოაქვს.

ყველანაირი პროფესიონალი დასჭირდება ჩვენს სამშობლოს XXI საუკუნეში.

უნდა ავაშენოთ ჩვენი თუ სხვისი ხელით დანგრეულ-დაქცეული - მაშასადამე, საჭირონი იქნებიან ხუროთმოძღვრები, ინჟინერ-მშენებლები, ხუროები, კალატოზები, დურგლები, მძღოლები...

თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისად უნდა აღვჭურვოთ და ავაძუშავოთ ქარხანა-ფაბრიკები, რომლებიც მსოფლიოს ბაზარზე კონკურენტუნარიან ელმავლებსაც აავებენ, ჩარხებსაც, თვითმფრი-

ნავებსაც და ავტომანქანებსაც, საუკეთესო ფოლადსაც გამოიმუშავენ და თუჯსაც. ესე იგი, ახალ მოწყობილობა-დანადგარებზე მომუშავე ხეივლებსა თუ ხარატებს, მეფოლადებსა თუ ქიმიკოსებსაც უღევად ექნებათ საქმე.

ფეხზე დამდგარ, მხრებგამლილ ქვეყანას დაცვაც, არმიაც ძლიერი უნდა ჰყავდეს და ცხადია, მფრინავები, მეზღვაურები, მესაზღვრეები, მე-



რაკეტები, ყველა სახის სამხედრო სპეციალისტები, ოფიცრები ჰაერით დასჭირდება ჩვენს სამშობლოს.

საერთაშორისო ურთიერთობათა ინტენსიური განვითარება, მოწინავე ქვეყნების გვერდით რომ უმზადებს საქართველოს ადგილს, ეკონომისტს, მეწარმეს, მეცნიერს,

კულტურის მოღვაწეებს, უშლის ფართო სამოღვაწეო ასპარეზს.

არც მომავალში უნდა დავლიოს ჩვენს ქვეყანას კინო თუ თეატრალური ხელოვნების, მწერლობის, მხატვრობისა თუ მუსიკის დიდებული ტრადიციების გამგრძელებელ-გამამდიდრებლები - რეჟისორები, მსახიობები, პოეტები, მწერლები, კომპოზიტორები, მუსიკოს-შემსრულებლები, მომღერლები.

ოღონდ, ისე როგორც არასდროს, საჭირო იქნება მაღალი პროფესიონალიზმი, განათლება, პატიოსნება, შრომა და დისციპლინა. ჩვენდა სავალალოდ, დღეს ყველა ეს კომპონენტი იშვიათობა გახლავთ და ღმერთმა ნუ ქნას, ასე გაგრძელდეს ხვალაც. ფავისი საქმის უცოდინარ, გაუნათლებელ, ცუდლუტ, უპატიოსნო, ზარმაცსა და მოუწესრიგებელ ადამიანთან საქმის დაჭერას, პარტნიორობას, საქმიან ურთიერთობას არავინ მოინდომებს. ხრიკებითა და ტყუილით ერთხელ და ორჯერ თუ გაიტანს თავს კაცი, მერე კი ნურას უკაცრავად, სალამსაც კი აღარავინ აღირსებს. არ გამოადგებიან საქართველოს ასეთები, ისე, რომ ხვალ, ისე როგორც არასდროს, თქვენი ბედი თქვენზევე იქნება დამოკიდებული.



ა. იარუშენკოვი
მოთხრობა

გ ა მ ო ძ ა ნ ე ბ ა

ორი თვის წინათ სტეპანოვებს უჩვეულო სტუმრები ჰყავდათ. ილუშას დედამ, ელენა სერგეევნამ, მხიარულად გაატარა მათთან სექტემბრის ის საღამო. დედა ბევრს ეწეოდა, იცინოდა და უღარდელად აქნევდა ნატის ფეხსაცმლიან გრძელ, ლამაზ ფეხს.

სტუმრები მსოკოველი მხატვრები იყვნენ. როცა ოთახის კედლებზე გამოფენილი ნახატები დათვალიერეს, ბიჭი შეაქვს. ნახატებს განსაკუთრებული ინტერესით აკვირდებოდა ჩია კაცი. მას ვატმანის ქაღალდზე დახატული წვერებიანი მოხუცი მოეწონა. მოხუცი გრძელ მერხზე იჯდა – ზურვით კორძიან ხეხს მიყრდნობილი. მის წყნარ გამოხედვაში სევდიანი, კეთილი ღიმილი დაკანებულიყო.

ჩია კაცმა მოხუცს ჯერ ერთი მხრიდან შეხედა, მერე მეორე მხრიდან. ბოლოს თავი გადააქნია და აჩქარებით მიუჯდა გვერდით ღივანზე მჯდომ წითურ ბიჭუნას.

–რამდენი წლისა ხარ?

–თერთმეტის.–მიუგო ილუშამ.

და მაშინ ჩია კაცმა მოულოდნელად ჰკითხა:

–გინდა მხატვრობა ისწავლო?


–მინდა!–თქვა ილუშამ და ერთიანად გაწითლდა.

–ჰოდა, ძალიან კარგი! ოღონდ აძინათვის ეს შენი მოხუცი უნდა წავიღო, სკოლაში ვაჩვენო. არის ასეთი სამხატვრო სკოლა-ინტერნატი, შენ კი აუცილებელი საბუთები შეაგროვე. – ჩია კაცმა კედლიდან სურათი ჩამოხსნა, უბის წიგნაკის ფურცელზე ჩამოწერა, რა საბუთები იყო საჭირო და ბოლოს მისამართი მიაწერა.–მაშ, ასე, – იგი ელენა სერგეევნას მიუბრუნდა, – შეაგროვეთ ეს ცნობები და გამოგზავნეთ. მე მოსკოვში ერთი კვირის თავზე ვიქნები. ვფიქრობ, ორ კვირაში მოგივით გამოძახება...

წასვლის წინ ჩია კაცმა ბიჭს თავისი მსუქანი ხელი გაუწოდა.

–აბა, ყოჩაღად იყავი. მალე შეეხვებით.

ელენა სერგეევნა, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ადვილად უახლოვდებოდა ადამიანებს და ასევე ადვილად ივიწყებდა. მას სტუმრებიც მალე დაავიწყდა, როცა ილუშამ შეგროვილი ცნობები აჩვენა და მათ გასაგზავნად ფოსტაში გაიქცა, დედა



ცოტა არ იყოს, გაოცდა. იგი ასევე იოლად დაივიწყებდა მოსკოვში გაგზავნილ საბუთებსაც, მაგრამ ილუშა, გაიღვიძებდა თუ არა, პირველად იმას იკითხავდა:

–კიდევ არ მოსულა?

ბიჭის ასეთი დაკანებული მოლოდინი ართობდა ელენა სერგეევნას, მაგრამ თვის ბოლოს შეიღს გამოუცხავდა:

–გეყოფა ლოდინი! მე მგონი, გამოძახება აღარ მოვა.

ილუშა გაოცდა:

–რატომ?

–მიზეზი ათასნაირი შეიძლება იყოს, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ქალმა. – შეიძლება შენი მოხუცი არ მოეწონათ, იქნებ დაგვიანებული იყო. მეცადინეობა სექტემბერში დაიწყო, მიღება კი ზაფხულშია და საერთოდ... იცი რა, მიმნდობი, არ უნდა იყო, რათა ცხოვრებაში ნაკლებად მოგხვდეს წიპურტები.

ელენა სერგეევნას ნათქვამმა ბიჭი ააფორიაქა, მაგრამ მისი დარწმუნება მაინც ვერ შეძლო. ამ საუბრის შემდეგ იგი გულჩათხრობილი გახდა; ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად მოხვე-

დროდა დედას თვალში და იჯდა ჩუმად სადმე, კუთხეში ან თავის ოთახში.

თენახევრის შემდეგ ელენა სერგეევნა კვლავ შეეცადა მოლაპარაკებოდა შეიღს. ბიჭმა მოუსმინა და მერე მტკიცედ განაცხავდა:

–სულ ერთია, მაინც მოვა!

–რა სულელი ხარ!–ჩაიციანა დედამ ამ თემასე სიტყვა აღარ ჩამოუგდია.

გამოძახება ნოემბრის ბოლოს მოვიდა. ქარბუქი უბრავედა. ცალხელა ფოსტალიონი პარმალთან შეჩერდა, ქურქიდან თოვლი ჩამოიბერტყა, წითელი სველი პირისახე ხელჯავით შეიმშრალა და ხმამალლა, აღელვებით დაიწყო:

–ღმერთო ჩემო! გარეთ პირდაპირ მერედ მოსვლაა, გვეკონება, აგერ-აგერ მოგწყვეტს მიწას და გაგიტაცებსო.–მერე ქურქის ვეება საყელო გადაიყვია, ქული მოიხადა და ეშმაკურად მოჭრუტა თვალები. – შენა ხარ, კაცო, ილია პეტროვიჩი?

–მე ვარ. – გაუბედავად მიუგო ბიჭმა.

–მა-

შინ, თუ **გაგრძელება მე-8 გვ.**



შეიძლება, ხელი მოაწერე, ილია პეტროვიჩი! - რვეული გაუწოდა ფოსტალიონმა.

ილუმამ დეკუმა გამალა. იმ წამს მიხვდა, რომ ეს სწორედ ის იყო, რასაც ასე დიდხანს ელოდა. მაგრამ ასოები ხტოდნენ და ვერაფრით ვერ წაიკითხა, სიხარულისგან მგონი დაყრუვდა კიდევ და არ ესმოდა, რას ეუბნებოდა ფოსტალიონი. ბოლოს გონს მოეგო:

-რა მითხარით?

-მე, ყმაწვილო, იმას გეუბნები, რომ ასეთი კარგი ამბის მოტანისათვის ურიგო არ იქნებოდა, ცხელი ჩაით გამმასპინძლებოდი.

ილუმა სამზარეულოში შევარდა, ჩაიდან წყლით აავსო და გაზის ქურაზე შემოდგა.

-ძალიან კარგი, ძალიან კარგი. - გაუხარდა ფოსტალიონს. - ქურქს გავიხდი, თორემ მოვიხარებები.

ფოსტალიონი ერთი ძვალტყავა მოხუცი იყო. დანაოჭებული სახე, თხელი, მონაცრისფრო თმა და უფერული თვალები ჰქონდა. ცხელი ჩაით მოხვრიპა და მძიმედ ამოიხვნეშა.

-მამ, მოსკოვში მიემგზავრები, ილია პეტროვიჩი! მხატვარი გახდები!.. დიდებული გზაა, ჩემო ძმაო. მე ამას კარგა ხანია მივხვდი. ერთხელ ტრეტიაკოვის გალერეაში მოვხვდი. მოვიარე, დავათვალიერე... ნიჭი აუცილებლად საჭიროა! ნიჭი! შენ, როგორც ჩანს, ილია პეტროვიჩი, ნიჭი გაქვს...

ჩაიმ მოთენთა ფოსტალიონი. იგი გაჩუმდა და ერთხანს თვალდახუჭული იჯდა. მერე ერთბაშად გამოფიხილდა და პიჯაკის ჯიბიდან ახალგაზრდა ქალის გაყვითლებული ფოტოსურათი ამოიღო. ქალს საყურეები ეკეთა და მძიმე, ნიღბივით გაყინული სახე ჰქონდა.

-ჩემი ცოლია - ვასილისა. გარდაიცვალა... მზის სხივით იყო! სულ იცინოდა. სურათზე სულ სხვანაირია. ქვასავით უტყვი, უსიცოცხლო... ილია პეტროვიჩი, ძვირფასო, გამოცოცხლე ვასილისა. ვიცი, შეგიძლია, მოცინარი დამიხატე ჩემი ვასილისა. ფულს გადაგიხდი, ილია პეტროვიჩი...

ილუმა დაიბნა და ძლივს ამოდერდა:

-ვერ შევძლებ.

ფოსტალიონმა უნდობლად შეხედა ილუმას და ბიჭს ტუჩები აუკანკალდა, არარაობად იგრძნო თავი.

-მე ნამდვილად ვერ შევძლებ... თუ გინდათ, მერე, როცა ვისწავლი... არ მოგატყუებთ, აუცილებლად დაგიხატავთ ისე, რომ ბრწყინავდეს... ახლა კი ვერ შევძლებ.

ფოსტალიონმა წყნით აახამხამა თვა-

ლები და როგორღაც ერთბაშად მოეშვა. -ილია პეტროვიჩი, მაპატიე, თუ რაღაც ისე ვერ... მაღლობა მომიხსენებია მასპინძლობისთვის.

იგი წამოდგა, ბიჭმა ქული მიაწოდა, ქურქის ჩაცმაში მიეხმარა. დამნაშავედ გრძობდა თავს, თითქოს კაცი მოეტყუებინოს და მორიდებით ჰკითხა:

-შეიძლება ვსინჯო? ოღონდ არ ვიცი, რა გამოვა...

ფოსტალიონი გამოცოცხლდა:

-ახლა შენ ცხელი დღეები გიდგას, გასამგზავრებლად უნდა მოემზადო; იქ, მოსკოვში კი, შეიძლება, თავისუფალ დროს, ანდა არდადეგები რომ გექნება, როცა...

ილუმამ მაღლიერებით დაუქნია თავი:

-გმაღლობთ, შევეცდები.

-შენ მაღლობა, ილია პეტროვიჩი, უარს რომ არ მეუბნები.

ფოსტალიონი წაივდა. ილუმამ ბოლოს და ბოლოს შეძლო დეკუმის წაკითხვა. დეკუმში ნათქვამი იყო, რომ ის ჩარიცხულია სკოლაში და დაუყოვნებლივ უნდა გამგზავროს. ბიჭს სიხარულისგან ლამის გული გაუსკდა. ხელით ასწორებდა დეკუმის ბლანსს და კიდევ და კიდევ კითხულობდა. ფრთხილად იღებდა ხელში და აკვირდებოდა ფოსტალიონის მიერ დატოვებულ ფოტოსურათს - მის სიცოცხლეში პირველ დაკვეთას.

მოუთმენლად ელოდა დედას. შუალამე გადასული იყო, როცა ლოდინით დაღლილმა ტანისამოსისა და წასაღები ნივთების მოგროვება დაიწყო.

ელენა სერგეევანა შინ დილით დაბრუნდა. ილუმას დივანზე ეძინა. დეკუმს რომ წაიკითხა და ოთახის შუაგულში თავმოყრილი ბარგი დაინახა, გაიღიმა და ილუმას დივანზე ჩამოუჯდა.

ელენა სერგეევანას პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა. იგი არც მსახიობობაზე ოცნებობდა, და არც მხატვრობაზე, მაგრამ იმის სურვილი კი, რომ ჰყვარებოდათ, თვითონაც ჰყვარებოდა, და საყვარელი ადამიანისთვის ბიჭი ან გოგო გაეჩინა, ყოველთვის ჰქონდა. როცა ცხრაშვილი წლისამ გრძელი, კოჭებამდე საქორწინო კაბა ჩაიცვა, სწამდა, რომ ჩვეულებრივი, ადამიანური ბედნიერება გვერდს არ აუვლიდა. მას თავდავიწყებით უყვარდა თავისი რჩეული. საქორწინო ბაფთებით მორთული მანქანები უკვე სადარბაზოსთან იდგნენ, სტუმრებიც მოვიდნენ, სასიძო კი არ ჩანდა. ელენა სერგეევანა სადღეოდლო კაბაში გამოწყობილი იდგა და ელოდა; ხელში თეთრი ვარდების ვეება თაიგული ეკავა. სასიძო კი არა და არ გამოჩნდა. გა-

იარა... და ელენა სერგეევანა უბრალოდ ლენკამ, საქორწინო ვაზა ტანზე შემოიხია, თაიგული კი ჯერ კიდევ ურტყა გამეტებით და მერე ფანჯრიდან მოისროლა. ფანჯრიდან თვითონაც ეცადა გადავარდნილიყო - მაგრამ დააკავეს.

ელენა სერგეევანა მაშინ ფიქრობდა, რომ სიყვარული გათავდა, რომ აწი ველარავის შეიყვარებდა, მაგრამ მალე შეუყვარდა სხვა. არა, ილუმას მამა არა. ილუმას მამას ის იმიტომ წაყვია, რომ ყველა მისი მეგობარი ქალიშვილი გათხოვდა და ყველას შვილები ჰყავდა, ელენა სერგეევანას შეეშინდა, რომ მთელი ცხოვრება მარტოდ დარჩებოდა. ილუმას მამასთან თავი დამოუკიდებლად და ცივად ეჭირა. კაცს ასეთი ცოლი მალე მოსწყინდა და ჩრდილოეთში წაივდა სამუშაოდ, იქ შექმნა ახალი ოჯახი, ილუმასთვის კი სისტემატურად აგზავნიდა კარგა დიდ თანხას. ელენა სერგეევანა კი შეხვდა კაცს, რომელთანაც როგორც მას მიაჩნდა, შეძლო ბედნიერი ყოფილიყო. კაცს სოლიდური თანამდებობა ეჭირა ქალაქში. ელენა სერგეევანა უკვე რამდენიმე წელი იყო, იმედს არ კარგავდა, რომ მისი კანონიერი მეუღლე გახდებოდა.

ილუმა თითქმის თავმინებებული ჰყავდა. ბიჭი სულ პატარაობიდან გახდა მუზობლად მდებარე კაფეს სტუმარი - იქ სადილობდა და ვანშობდა. კარგად სწავლობდა, მხიარული და მკვირცხლი ბავშვი იყო. სულ რაღაცით დაკავებული, დედას თავს არ აბუნებდა. მას კი აზრად არ მოსდიოდა, რომ შეილის გამო შეიძლებოდა ღამე საყვარელთან არ ეთია, ანდა შინ არ მოეყვანა მხიარული კომპანია, სიმღერით, ცეკვებით და მთელი ხმით ჩართული მავნიტოფონით. „ჩემი ბიჭი სქელკანიანია!“ - ფიქრობდა ელენა სერგეევანა, მას არასოდეს უნახავს ცრემლი შეილის თვალებზე და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მკაცრი, სპარტანული აღზრდა - ის ასე ხსნიდა თავის დამოკიდებულებას შეილის მიმართ - ბიჭს შემდგომ ცხოვრებაში გამოადგებოდა: „მე რომ ფუფუნებაში გამზარდეს, იმიტომაც გამიმართლა!“.. - ამბობდა ის.

ელენა სერგეევანამ მშვიდად წაიკითხა დეკუმა. ილუმას დივანზე ჩამოჯდა, ერთხანს უყურა ჯიუტ კაცუნას, რომელიც ძილში რაღაცას უღიმოდა, მერე შხაპი მიიღო და შეილმა რომ გაიღვიძა, მაგიდანვე ცხელ-ცხელი დაბრაწული ბლინების მთელი მთა იდგა. ილუმა სიამონებით შეექცეოდა ცხელ საუზმეს და



–კარგი, – თქვა მან და ილუშა
ხლებიდან ჩამოსვა. – გაგიშვებ, ოღონდ
თუ ნიკოლაი ალექსევეიჩი იქნება თანა-
ხმა. წადი მასთან, ყველაფერი მოუყევი.
როგორც ის გადაწყვეტს, ისე იყოს.

ილუშა ერთხანს გაუნძრევლად იდგა,
მერე უსიტყვოდ დაუქნია თავი. სწორედ
ნიკოლაი ალექსევეიჩი, მამის მხრიდან,
ილუშას პაპა იყო ის წვერებიანი მო-
ხუცი.

ნიკოლაი ალექსევეიჩი, სოფელში
ცხოვრობდა. ელენა სერგეევნასთვის უკა-
რება და პირქუში, ილუშასთვის იგი ყვე-
ლაზე კეთილი და სამართლიანი კაცი
იყო დედამიწის ზურგზე. პაპისა და შვი-
ლიშვილის ყოველი შეხვედრა ზეიმსა
ჰკავდა. რაც არ უნდა გაეკეთებინა მო-
ხუცს, ბიჭს ყველაფერი მოსწონდა და
სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი მე-
სხიერებაში რჩებოდა. დაუეწყარი იყო
მზის ამოსვლა და ჩასვლა მოხუცის სა-
ხლის თავზე, ცა, ღრუბლები, ნისლი,
ქარები, წვიმები, ტყე, მდინარე... იქ,
პაპასთან, ყველაფერი უმშვენიერესი იყო!

მეოთხმოცე კილომეტრზე ილუშა
აკტობუსიდან გადმოვიდა, თხილამურები
მოირგო და გორაკზე ავიდა. ამ გორაკი-
დან კარგ ამინდში შესანიშნავად მოჩა-
ნდა მოხუცის სახლი, საკვამურიდან ამო-
სული ლურჯი ბოლი. ბიჭი ერთხანს იდგა
გორაკზე, მერე მარხილის გაკვალული
გზით დაბლა დაეშვა.

ნახევარი საათის შემდეგ უკვე და-
ინახა პაპას სახლი. სახლამდე ცოტადა
იყო დარჩენილი, რომ პარმადზე ძაღლი
აყმუვლდა. მას არ გახარებია, როგორც
ყოველთვის, არ გამოქცეულა ბიჭის შე-
სახვედრად. ილუშა გარცდა:

–ლასკა! შენ რა? ვეღარა მცნობ?

თექის ჩექმებიდან თოვლი ჩამოიბე-
რტყა, პარმადზე ავიდა, ძაღლი შინ შე-
უშვა და თვითონაც შეჰყვა. თოვლის
თვალისმომჭრელი სითეთრის შემდეგ ჩა-
ბნელებულ ოთახში ილუშამ დიდი ხა-
ტის მიმქრალი ციმციმი და კანდელის
წითელი ალი გაარჩია, კედლებთან სკა-
მებზე ვიღაც შავებში ჩაცმული მოხუცი
ქალები ისხდნენ. ნიკოლაი ალექსევეიჩი
ლოგინზე იწვა. ბიჭს უნდოდა პაპასთან
მისულიყო, მაგრამ თითქოს იატაკს მი-
ელურსმყო, ფეხებს ძვრა ვერ უყო. მო-
ხუცი პირადმა იწვა და ახლა ბიჭი აშკა-
რად ხედავდა მისი ყურის თეთრ ბიბი-
ლოს და ხშირ, ხუჭუჭა წითურ წვერს.

–პაპა!

–კიდევ კარგი, – ამოიოხრა ერთმა
შაოსანმა მოხუცმა, – შეილიშვილმა მა-

ბედნიერი თვალებით შეჰყურებდა დე-
დას.

–დედიკო, რა ვქნათ, წასასვლელი რომ
ვარ?!. დირექტორთან მივალ, დეპუტას
ვაჩვენებ და მალევე დავბრუნდები, ხომ
უნდა მოვემზადო!

ელენა სერგეევნა შეიღს ჩაცმაში მი-
ეხმარა, ჩანთა მიაწოდა და უთხრა:

–შენ გააკეთილებზე წადი, დირექტო-
რთან მე მივალ.

იგი სკოლის დერეფანში შეხვდა
ბოლო გაკვეთილიდან გამოსულ შეიღს.
ბიჭი დედას მივარდა.

–დედა, იყავი დირექტორთან?

–წამოდი, უნდა მოგვლაპარაკო, – მხი-
არულად უთხრა დედამ.

სახლში ქალმა ბიჭი მუხლებზე და-
ისვა, აკოცა და ყურზე საკმაოდ მტკი-
ვნეულად უკბინა.

–დედა, დირექტორთან იყავი?– კვლავ
ჰკითხა ბიჭმა.

–ჰო, რა მინდოდა მეთქვა, – ალუ-
რსიანად დაიწყო ელენა სერგეევნამ. –
თურმე არსებობს უამრავი სამხატვრო
სკოლა, რომელშიც რეაქლასდამთავრე-
ბულებს იღებენ. მე მგონი, შენთვის ეს
სჯობია. გაიზრდები, მომაგრდები, თო-
რემ ხომ ხედავ, რა გამწლიეული ხარ.
და, საერთოდ, მართალი რომ ვითხრა,
მე სულაც არ მეპრიანება ეს პროფესია.
ცხადია, სასახელო და საჩინოა, თუ გა-
გიმართლა. მაგრამ ძალიან მოუსვენარი
საქმეა, სანერვიულო. გაცილებით ჭკვი-
ანური იქნება, ინჟინერი გამოხვიდე. ლუ-
კმა პური ყოველთვის განადღებული გე-
ქნება, სამუშაოსაც ადვილად იშოვნი...

–დედა, მე მინდა მხატვარი გავხდე!
მე ეს მომწონს!– შეესიტყვა ბიჭი.

ქალი არ აპირებდა უარი ეთქვა ბი-
ჭისთვის გაშვებაზე, მაგრამ თავის მო-
ვალეობად მიაჩნდა, სიმართლე ეთქვა
მისი მომავალი პროფესიის შესახებ.

გაგრძელება მე-10 გვ.



ინც მოუსწრო დასაფლავებას...

-აეტოსადგურიდან ბიჭი პირდაპირ სკოლაში მივიდა, დირექტორს გამოძახება აჩვენა და აცნობა, ხვალვე მიემგზავრები მოსკოვშიო. დირექტორმა, რომელსაც უკვე გაეგო ამ გამოძახების შესახებ ილუმას დედისაგან, ნება დართო და გზა მშვიდობისა უსურვა.

შინ რომ დაბრუნდა, ილუმამ ბარგი ზურგნანთაში ჩააწყო. საღამოს მოვიდა დედა. სასწრაფოდ გაიძრო პალტო, ილუმას მკლავებში ჩააგდო ხელები, რამდენჯერმე დაატრიალა და გახარებულმა უთხრა:

-ილუმ! ძვირფასო! ვაშა! ჩვენ გაცხადება შევიტანეთ... სიმონ აფანასევიჩმა და მე! გესმის, გადავწყვიტეთ დაეპორწინდეთ! შენ ხომ მოგწონს ის?

ილუმას არაფერი ჰქონდა სიმონ აფანასევიჩის საწინააღმდეგო, უფრო მეტიც, ეს მაღალი, მუდამ ელეგანტურად ჩაცმული, ყურადღებიანი, თავაზიანი კაცი მოსწონდა კიდევ. მაგრამ ახლა ელენა სერგეევას მხიარულმა განწყობამ დააბნია. მან დედის ხელები მოიშორა, მოსცილდა. მოიღუშა, მკაცრად, ჯიქურ, შეხედა ელენა სერგეევას თვალებში და თქვა:

-დედა, ის გარდაიცვალა!

დედას თვალები გაუფართოვდა, სახე წითლად დაეფოთლა.

-ვინ მოკვდა?- ძლივს ამოიღუღლულა ელენა სერგეევანამ.

-ნიკოლაი ალექსევიჩი! გარდაიცვალა, დედა!

ელენა სერგეევანამ მხრები აიჩინა და სარკის წინ სკამზე ჩამოჯდა. ვიდრე ბიჭი სოფელში იყო წასული, იგი მიეჩვია იმ აზრს, რომ ილია წაეიდოდა და ის უმისოდ რჩებოდა. ასე უკეთესი იქნებოდა მისი ახალი ქმრისთვისაც და მისთვისაც. სიმონ აფანასევიჩის ღვიძლი შვილები, ქალ-ვაჟი, ცალკე ცხოვრობდნენ, და ელენა სერგეევას არ უნდოდა თავისი შვილი თავზე მოეხვია კაცისთვის, რომელზეც ქალაქში შეეძლოთ ეთქვათ: თავისები დაყარა და სხვისი აიყვანაო. ილუმას სოფელში რომ აგზავნიდა, მან წინასწარვე იცოდა: ნიკოლაი ალექსევიჩი ბიჭს განზრახვას მოუწონებდა და მოსკოვისკენ გზასაც დაულოცავდა. მოხუცის მოულოდნელი სიკვდილის გამო შვილის წასვლის პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე ელენა სერგეევას თვითონ უნდა ეკისრა. მას ეს არ მოსწონდა. შეეცადა გაეღიმა და შემპარავად ჰკითხა შვილს:

-რა გადაწყვიტე გამოძახებასთან დაკავშირებით?

-დედა, ძალიან გთხოვ, გამიმე. ეს

აუცილებელია, დედა!

ელენა სერგეევანამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მას გულით ეწადა, რომ ილუმა კარგი კაცი დამდგარიყო, მაგრამ თავისთვისაც უნდოდა ბედნიერება. მას სურდა დიასახლისად შესულიყო სიმონ აფანასევიჩის ვრცელ ბინაში, მისი წარჩინებული სტუმრები მიეღო ხოლმე. ქალი უარს ვერ ამბობდა ბედნიერებაზე, რომელიც ისე ახლოს იყო, რომ თავბრუ ეხვეოდა. დიდხანს მიდიოდა ამ ბედნიერებისაკენ, მიაჩნდა, რომ დაიმსახურა იგი. ილუმა ადრე თუ გვიან მაინც დატოვებს მშობლიურ ბუდე. მან კი, ვიდრე დროა, თავისი საქმე უნდა მოაგვაროს. ელენა სერგეევანამ ყურადღებით, აშკარა სიამოვნებით შეათვალიერა თავისი გამოსახულება სარკეში და შეიღვინა მიუბრუნდა:

-როდის გინდა წასვლა?

-ხვალ!

...ღილით მოსკოვის მატარებლის თოვლით დაფარული შემადგენლობა ბაქანს მოადგა. ვაგონებიდან სულ რამდენიმე მგზავრი გადმოვიდა. ილუმამ დიდი, ფართოდ გახელილი თვალები დედას მიაკვირო და უთხრა:

-მე მხატვარი გავხდები! აი, ნახავ, თუ არა!...

როცა ელენა სერგეევანამ ჩემოდნის სახელურს ხელი ჩააგდო, ბიჭი კისერზე მოეხვია, მის პალტოში თავი ჩარგო და წასჩურჩულა:

-მეშინია, დედა..


ელენა სერგეევანამ თავისუფალი ხელით მიიხუტა ბიჭი, გამამხნეველად მოუთათუნა ხელი მხარზე და უთხრა:

-შეილო! ახლა კბილი კბილს დაატვირე და გამაგრდი!

ილუმა ვაგონში ავიდა, უნდოდა დედისთვის ხელი დაექნია, მაგრამ ვაგონის გამცილებელი ქალი კარებში გაეხიდა და ველარ მოასწრო. მატარებელი დაიძრა, ელენა სერგეევანა ფეხის წვერებზე აიწია, შეეცადა დაენახა ბიჭი გამცილებლის ზურგსუკან, მაგრამ ვერ დაინახა. ილუმა კუპეში შევიდა, ცხვირი და ლოყები ფანჯრის ციფ მინას მიაკვლიტა, მაგრამ მხოლოდ ქალაქის მოედნის კედეს და სიმონ აფანასევიჩის სამსახურის მანქანას ჰკიდა თვალი. მსუქანი მძღოლი, რომელმაც სტეპანოვები სადგურში მიიყვანა, მოთმინებით ელოდა ელენა სერგეევას. მატარებელმა სელას უმატა, ბორბლებით აყრილი თოვლის კორიანტელი დააყენა და ბიჭი ახალი ცხოვრებისაკენ გააქანა.


თარგმნა ბ. სარინოვლამ

სოციალური ავტომობილის ისტორიანი




პირველ ავტომობილს, რომელიც კარვლ ბენცმა 20 წლიანი შეუპოვარი მუშაობის შემდეგ ააგო, პოლიციის სამმართველომ ქალაქში საათში 6 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობის ნება დართო.

ინგლისელი გამოგონებლის სკოტის ავტომობილი ექვსნეტი იყო დახუნძლული. ეს იმისთვის იყო საჭირო, რათა ცხენებს ჰგონებოდათ, რომ ეს ძროხის თუ ცხენის მსგავსი რამ იყო და არ დამფრთხალიყვნენ.



1899 წელს გამართული პირველი ავტორაღმშობის პარიზში-რუანის მონაწილე 102 ავტომობილიდან უმრავლესობა სწარბევე ვერ დაიქოქა ფინისამდე კი მხოლოდ 21-მა მიაღწია.

პარიზში 1894 წელს გამართულ ავტომანქანების პირველ გამოფენაზე ბენზინზე მოძრავი ავტომობილების გარდა, წარმოდგენილი იყო ელექტროძრავიანი, ორიულისძრავიანი და თქვენ წარმოიდგინეთ, რაკეტის ძრავიანი ავტომობილიც კი. არ დაგავწყვდეთ, რომ გამოფენა თითქმის 130 წლის წინათ გაიმართა.





სურათი

ლაკარდა ტა,
 ცისფერი მთა,
 გორაკზე ბატონა
 ბიჭუნა ღვას,
 ქერა თმა,
 მზისფერი თმა,
 ცისფერი ტა,
 ლამაზი მთა...

აზვანანა

ნუკრსა სძინავს,
 ბულიკ სვინავს,
 იაფანინანო,
 შენკ იძინე,
 წინაზრად, მშვიდად,
 ვარდოვნანინანო,
 ჩიჭი ვალობს
 ტაეკეავს,
 იაფანინანო,
 ნიაეჭრისა უფინლია,
 ტყეს კი ნუკრი უნინნა,
 ბოკერს ბიზი დაუღია,
 იაფანინანო,
 მაუგლის გოგო ვაუკენია,
 სინძრად კოშე აუგია,
 ვარდოვნანინანო,
 შენკ ინარე,
 მუკ მანარე,
 დედის გულის დარდო,
 დაუენეთ ჩემს შვილს ტანზე,
 იებო და ვარდო!



ოფთმსვერი



სალომე ჯანელიძე 10 წლისაა. ლექსების წერა 6 წლისამ დაიწყო, ხატვა და ძერწვა კი 2 წლისამ. სალომე 2002 წლის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატია. მიღებული აქვს გაეროს ეგიდით ჩატარებული კონკურსს „მე რომ მშვიდობის ელჩი ვიყო“ და საერთაშორისო ასოციაცია „მომავლის“ კონკურსის „ძალადობა“ სიგელები.

სალომე ისეთ საქართველოზე ოცნებობს, სადაც არ იქნებიან სამათხოვროდ ხე-

ლგაწვდილი ბავშვები და მოხუცები. გოგონას დიდი სურვილი აქვს ჰქონდეს „ვის უნდა ოცი ათასის“ მსგავსი საავტორო გადაცემა ბავშვებისთვის და იმედოვნებს, რომ გამოჩნდება სპონსორი, რომელიც ამ იდეის ხორცშესხმაში დაეხმარება.

სალომეს ერთი ძალიან გაბედული ოცნებაც აქვს – თუმცა არ იცის მოღვაწეობის რა სფეროს აირჩევს, მაგრამ განზრახული აქვს გახდეს ნობელის პრემიის პირველი ქართველი ლაურეატი. ვუსურვებთ სალომე ჯანელიძეს არ უღალატოს ამ ოცნებას!

საცოცხლო

ქაზი მდიამოს აზრიალოებს,
 ტაში ცოროლოა დათრიალოებს,
 ტყეში ნადირი დარიალოებს
 და თავის შავ თვალებს აზრიალოებს.
 დათვი ძეულოეს ელოდება,
 რომელიც რაჭოთიაუკ ავ ვაანებს,
 ძე ელი ნაძიონს თავს დასტრიალოებს,
 კოუნი ეხთი წინალოებს დაქრანებს,
 ქაზი ბაირაღს აფრიალოებს და –
 წვიმა სახურავს ვარიალოებს!..

რიგორიკ აქნა...

ნუგაე ვაინსნას ზეკის კარები,
 ვადიოვ ვაყაროს ტა ვანი ტიორი,
 დასაეკნული და ეურინამიყიდო
 ასე ჩურჩიულებს ეელი მხიორი.
 ტამ შიქინა კობები,
 ძილის წვიმა კოკებით,
 გამწვანდა და განაღისდა ბაღანი,
 რიგორიკ იქნა – ეიკეაბუნებ ვაღანში!



ოფთმსვერი




მსოფლიო

კიდით კიდევდა



უკვადითი

ჰუპი გიძელინინდა მონეტაზე ცნობილი შვედი მწერლის, „კა-



რლსონის“, „პეპის“, „რონიას“ და სხვა პოპულარული წიგნების ავტორის ასტრიდ ლინდგრენის 95 წლისთავთან დაკავშირებით შვედეთის სახელმწიფო ბანკმა 50 კრონიანი მონეტები გამოუშვა. მონეტა სულ 100 ათასიანი ტირაჟით იქნა გამოშვებული. ამ იშვიათი მონეტის შექმნის მსურველებმა ზარაფხანის მისამართზე მის ღირებულებაზე ათი კრონით მეტი უნდა გადარიცხოვნ. ასიათასზე გამრავლებული ეს „ზედმეტი“ კრონები მოხმარდება ასტრიდ ლინდგრენის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს, რომელიც რამდენიმე წლის წინ გაიხსნა სტოკჰოლმში. როდესაც მთელი შვედეთი სახელოვანი მწერლის 90 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდა, მან თხოვნით მიმართა ყველა თანამოქალაქეს: ნურანაირ საჩუქრებს ნუ მაჩუქებთ, უმჯობესია ფული მშენებარე ბავშვთა საავადმყოფოს ანგარიშზე გადარიცხოთო.

საიუბილეო მონეტის ცალ მხარეს ასტრიდ ლინდგრენია გამოსახული, მეორე მხარეს კი - მისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირი პეპი გრძელიწინდა.

პოლონეთი

ლიმიტის მიხედნის ახალი ჯავახიხები გასული წლის მიწურულს პოლო-

ნელმა ბავშვებმა მათი თანატოლების მიერ დაწესებული ღიმილის ორდენი (ეს სიმბათიური ორდენი პოლონელმა გოგო-ბიჭებმა 1967 წელს დააწესეს, 1979-ში კი მან საერთაშორისო სტატუსი მიიღო) კრაკოველ მსახიობს ანა ღიმნეს და მუსიკალურ ჯგუფ „ვაკელეს“ ხელმძღვანელს იან ვოიდაკს მიანიჭეს. ღიმილის ორდენი ერთადერთი ჯილდოა ამჟვეწინად, რომელსაც უფროსებს ბავშვები აკუთვნებენ. ბავშვები კი არასდროს სცდებიან ორდენის ღირსი ადამიანების შერჩევაში. ასე იყო ამჯერადაც. ანუ და იანი ღიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ ინვალიდი ბავშვებისადმი და ამიტომაც დაიმსახურეს მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ორდენი, რომელზეც გაღიმებული მზეა გამოსახული.



ხურეს მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ორდენი, რომელზეც გაღიმებული მზეა გამოსახული.

ავსტრალია

მსოფლიო ჩემპიონი - სკოლების სტუმარი

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი კრივში, სახელგანთქმული მუჰამედ ალი კეთილი „ნების მისიით“ ეწვია ავსტრალიას და განაცხადა, რომ ამ თავისი ნაბიჯით მსოფლიოს საზოგადოებას მოუწოდა მონაწილეობა მიიღოს ამ მრავალტანჯული ქვეყნის აღორძინებაში. ღიმილი ამერიკელმა სპორტსმენმა, მას შემდეგ რაც ქვეყნის პრეზიდენტს ჰამილ კარზაის და ყოფილ მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს შეხვდა, ქაბულის



გოგონათა სკოლა, დედაქალაქის პურის საცხობი და სპორტული სკოლებიც მონახულა, ამ ვიზიტს სულ მალე რეალური მატერიალური დახმარება მოჰყვა.

სამხრეთ აფრიკა

13 წლის ბიჭმა ნიანგი დამაჩიხცა

13 წლის ნსიზვაზონკე მტემბუ მეგობრებთან ერთად თევზაობდა. ბიჭმა შეამჩნია, რომ შორიახლოს მდინარეში რაღაც მორი მიცურავდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. მალე ანკეს პირველი თევზი წამოეგო, მტემბუ მის ამოსათრევად წყლისკენ გადაიხარა და უცბად დაინახა, რომ „მორი“ გაცოცხლდა და მისკენ გამოქანდა. მოგვიანებით საავადმყოფოში მოთავსებულმა ბიჭმა ექიმებსა და მწავლებლებს უამბო, რომ ნიანგის დანახვაზე მალა შეხტა, მეგობრები ცდილობდნენ ალიგატორის ხახიდან გამოეგლიჯათ იგი, მაგრამ ამაოდ. საბედნიეროდ, მტემბუს მოუხერხებია და ცალი ხელით ხის ტოტს ჩაჰფრენია, მეორეთი კი წყალს მოყოლილ სქელ ჯოხს დასწვდომია და მტაცებლისთვის თავში ჩაურტყამს. მოულოდნელობისგან გაოგნებულ ნიანგს ყბები მოუდუნებია და ხახა დაუღია.



პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისთვის, ანუ როგორ მოვძებნოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში

ამერიკული როკ-მუსიკის ვარსკვლავმა დი სნაიდერმა დაწერა წიგნი „პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისთვის, ანუ როგორ მოვეძებნოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში. ეს არის გულახდილი საუბარი მოზარდებთან, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე უამრავ ინტიმურ და ფსიქოლოგიურად რთულ კითხვას აწყდებიან. როგორ გავერკვეთ საკუთარ თავში? როგორ ავაწყოთ ურთიერთობა ახლობლებთან? როგორ უნდა მოიქცეს ბიჭი გოგონასთან, გოგონა კი ბიჭთან? როგორ მოვეძებნოთ ცხოვრების მიზანი? თავისი დაუდგრომელი და შფოთიანი სიმაწვილის გამოცდილებიდან გამომდინარე, დი სნაიდერი უამრავ სასარგებლო და საქმიან რჩევას აძლევს მკითხველებს.

ვფიქრობთ, ავტორის გულითადი საუბრის შემდეგ თუ ყველა არა, ბევრი თქვენგანი მანც ახლებურად შეხედავს და შეაფასებს საკუთარ პრობლემებს და მათ გონივრულად გადაწყვეტასაც შეძლებს.
მამ ასე, თქვენ, „20-დან 17 წლამდე ყველა ჭაბუკსა და ლედის, აგრეთვე მათ მზრუნველ მშობლებს“, მიუძღვნა როკ-ვარსკვლავმა ეს მშვენიერი წიგნი, ჩვენ კი თავს ვიდეთ, გაგაცნოთ მისი ნაწევრები. რამდენიმე ნაწევრები უკვე გამოქვეყნდა „ნაქალაქში“ (1999-2000 წ.წ.). დღეს შემოთავაზებულ ნაწევრებში საუბარი პროფესიის არჩევაზე იქნება.

როკ-მუსიკოსობას, ეს ეჭვი იმავე წელს გამიქრა, როცა საშობაო კარნავალზე საშობაო სიმღერის შესრულება ვცადე. ეს მამაჩემის კლუბში მოხდა - სცენაზე

ისინი შეუძნებან:
„როდის წახვალ სკოლაში?
ქუჩა საშუაშიზე მიწითობლია!
უჭოლსია საქის მოძიადო სკოლა!
ქუჩიქ შენს თვის ბახდიელს ჰვანძა!
შენ კიბნა, ცხოვრება უაძრელო სიონობა?
ეზბადოვით მოვ ეხმინე
სენ შენს დეკსანწაქოს ზოლობ მოქუ
ღობო!
ღობა, პანქისხმე ღობობაზე ითიქრო!



ჯეკმ „ჩოისთქო ხისთქო“-ის ხმდგრა აბრ
მხნაა დიდი ჯეკმქ

პროფესიის არჩევა. თუ ცხოვრებაში მიზანი გაქვს

პროფესიის არჩევა შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე ძნელი არჩევანი აღმოჩნდეს შენს ცხოვრებაში. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ გავიარე ტესტი, რომელსაც უნდა დაედგინა ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები იმ საქმესთან მიმართებაში, რომელსაც მე ავირჩევდი. შემოწმების შედეგების მიხედვით მე ერთნაირი წარმატებით შეემძლო ამერიჩია: 1) ასენიზატორის; 2) ელჩის; პროფესიები. და ასევე წარმატებით შეემძლო ორივე ამ პროფესიის შეთავსება. მე მგონი, შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები იყო: ა) ნაგვის მთები ჩემს ოთახში, ბ) ჩემი სიყვარული იტალიური სამზარეულოსადმი. ძალიან კი დამეხმარა ეს ტესტი, ვერაფერს იტყვი!

რვა წლის ასაკიდან, მას შემდეგ, რაც ტელეპროგრამაში „ედ ხალივენის შოუ“ „ბითლზის“ გამოსვლა ენახე, უკვე ზუსტად ვიცოდი, რას გევაკეთებდი ცხოვრებაში. დიდი ინგლისელების გამოსვლაზე პუბლიკა შეშლილივით ღრიალებდა და მე გავიფიქრე: „აი ეს საჩემო რამაა“. და თუ თავიდან ოდნავ ეჭვი შემეპარა, შევძლებდი თუ არა

გამოვედი, დარბაზი მშობლებით იყო გადაჭედილი, ყველა პროექტორი მე მომანათეს. სიმღერა რომ დავამთავრე, ყველამ ტაში დამივრა. მაშინ არც ჩემი ცნობილი კოსტიუმი მეცვა, ჯერ არც თმა მქონდა მოშვებული, თხევად აზოტს იმ კლუბში არ იყენებდნენ, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში პირველი კონცერტით გამოწვეული ალტაცების შეგრძნება დღესაც მახსოვს.
ერთადერთ რამეზე ვოცნებობდი.

ტბილ სიზმრებში საგაზეთო განცხადებებს ვხედავდი: „გვესაჭიროება როკ-ვოკალისტი. მამაკაცი. მედგრად უნდა გაუძლოს აპლოდისმენტების შკვალს და ოვაციების ზვავს, აუცილებელია გააჩნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრში ყოფნის უნარი. ანაზღაურება განუსაზღვრელად ფანტასტიურია“. დიახ, ასეთი სამუშაოსთვის მზად ვარ

გაგრძელება მე-14 გვ.



უთენია წამოვევარდე ლოგინიდან!.. თუ მცა არა, ეს მეტისმეტია - მხოლოდ ნასადილეუს!

იმდენად მინდოდა ყურადღების მოპოვება, რომ უბრალოდ ჯგუფის შექმნა არასაკმარისად მეჩვენებოდა. აუცილებლად მისი ლიდერი უნდა გაეხდებოდა, როგორც ჯონ ლენონი „ბითლზში“. არა, იქ მაკარტინიც არის. უმჯობესია, როგორც მიკ ჯაგერი „როლინგ სტოუნზში“, ის მაინც წმიდა „ვოკალისტი“. ვიდრე ჯგუფთან ერთად ჩემი გამოსვლები მხოლოდ ჰობი იყო და სხვა არაფერი, მშობლები არ ერეოდნენ. ყველაფერი „ძალიან კარგი“ იყო. მაგრამ რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო საზიზღრად ეჩვენებოდათ მათ ჩემი საქმიანობა და მით უფრო დაბეჯითებით ცდილობდნენ როკ-მუსიკისთვის ჩამოვეშორებინე. საღამოობით, განსაკუთრებით უქმე დღეებში, რეპეტიციებზე რომ არ გავპარულიყავი, შინიდან გასვლას მიკრძალავდნენ, ამიტომ როგორც კი ქუჩაში აღმოვჩნდებოდი, უმაღლესი სარეპეტიციო დარბაზისკენ გავრბოდი, ერთ-ორ ახალ სიმღერას შევასრულებდი და კისრისტეხით ვბრუნდებოდი სახლში.

ცამეტი წლის რომ ვიყავი, მე და ჩემმა დამ ჯგუფის შექმნა გადავწყვიტეთ, ეს რაღაც „მომღერალი სნაიდერების“ მსგავსი რამ უნდა ყოფილიყო. მე ვმღეროდი და გიტარაზე ვუკრავდი, ჩემი და კი ტამბურინს აჟღარუნებდა და მეორე ხმაზე მღეროდა. იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჰიტი იყო სიმღერა „არაინ, ჩემ გარდა“. ამ სიმღერაში ძალიან მარტივი აკორდებია, ტექსტს კი მარტო ჭკუასუსტი თუ ვერ დაისწავლის: „არა, არა, არა არა“ - და ასე ბოლომდე.

რა თქმა უნდა, მეტისმეტად სულელური სიმღერაა. მაგრამ ჩვენ მთელი დღეები სულმოუთქმელად ვიმეორებდით მას, ვიდრე ასე თუ ისე რიგიანად არ გამოგვივიდა. გადავწყვიტეთ ეს სიმღერა მამასთვის გვემღერა.

მამა სამსახურიდან დაბრუნდა და ჩვენ მაშინვე ვეცით: „მამი, იცი, სიმღერა ვისწავლეთ, გინდა გაჩვენოთ?“ - ერთი სული გვქონდა გვემღერა.

„ძალიან კარგი, ოღონდ ფეხზე გავიხიდი! აბა, გისმენთ!“, - „არა, არა, არა, არა, არა, არა, არა...“ როცა ბოლოში გავედით, მამამ გვკითხა: „ეს რა ჯანდაბაა?“, - „არა, არა, არა, არა?“ და

თქვენ ამას სიმღერას ეძახით? მაჯ, შენ მოისმინე ეს სულელური სიმღერა? „არა, არა, არა...“

მე და ჩემი და ძალიან გაენაწყენდით, გუნება წაგვიხდა, და მერე როცა კი ჩვენთან სტუმრები მოვიდოდნენ და ივითხავდნენ, ვინ უნდა გამოვიდეს პატარა დენიო, თუმცა ვიცოდი, რომ შეიძლებოდა მშობლების წყრომა დამემსახურებინა, მაინც ყოველთვის ვპასუხობდი: „როკ-მუსიკოსი“. მამა იღუშებოდა, მერე კი ხარხარს იწყებდა: „რას ამბობ, როკ-მუსიკოსიო? მოდი, ახლა გი-



ამბობთ, როგორ მიმღერა ჩემმა შვილმა ერთხელ სიმღერა „არა, არა, არა!...“ ყველა სიცლისგან ბჟირდებოდა.

არა მგონია, რომ მშობლებმა ხელი უნდა ააღებინონ თავიანთ შვილებს ამა თუ იმ საქმიანობაზე, გატაცებაზე, რა სულელური და უაზროც არ უნდა ეჩვენებოდეთ მათ ეს საქმიანობა.

ადამიანს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მონახვა, რაც სხვადასხვა სფეროში სცდის თავს. საქმიანობის ზოგიერთი სახე, რომლებიც ერთი შეხედვით სრულიად უპერსპექტივო, შთაბეჭდილებას ტოვებს, შეიძლება შემდგომში შენი ცხოვრების მთავარ საქმედ იქცეს. ადვილი შესაძლებელია, რომ ოცნებიდან მის განხორციელებამდე რაღაც დრო გაივლის, მაგრამ შვილისთვის მოდელიერის, მოტომობილოლის, ცირკის კლოუნის თუ ნებისმიერ სხვა კარიერაზე ოცნების აკრძალვა იგივეა, რომ პიროვნებად ჩამოყალიბება აუკრძალო მას.

მივმართავ ყველა მშობელს: თუ

თქვენი შვილი სპორტით, მუსიკით, პოლიტიკით არის გატაცებული - ნუ დაუშლით! უნდა გიხაროდეთ, რომ ეს უქნარა რაღაცისადმი მაინც ამყვანებს ინტერესს. მაგალითად, მე ყოველთვის საშინელი ფეთხუმი ვიყავი და ვარ - ნეტავ განახა ოთახი, რომელშიც ახლამ სტრიქონებს ვწერ! ჰოდა, ცხრაშეტი წლის რომ ვიყავი, „ფორდ-მუსტანგი“ შევიძინე.

ამ „ფორდ-მუსტანგს“ ახალი სულაც არ ეთქმოდა, მაგრამ ეს ხომ ჩემი პირველი მანქანა იყო! ისე ვგვიძვებოდი ამ ჩემს ოთხთვალაზე, რომ ყოველდღე ვრეცხავდი, ვაპრიალებდი. გამოვიტყდებოდი, მე ბევრად უფრო იშვიათად ვბანაობდი.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჩემი კუთვნილი ნივთის გარეგნული იერის მიმართ რაღაც ინიციატივას ვიჩენდი. ჩერით ხელში მანქანის გარშემო ჩემი ხოხვის მეხუთე დღეს მამამ ვეღარ მოითმინა და ფანჯრიდან ყვირილი ამიტეხა, არც ერთი იდიოტი არ რეცხავს თავის მანქანას ყოველდღე (და ეს სრული სიმართლე გახლავთ), კრეტინი ხარო (იგი არც ამჯერად ცდებოდა), ამდენ წყალს ტყუილად ხარჯავო (ხომ წარმოგიდგენია, წყლის გადასახადი გაგვალარიბებდა, ნახევარწელიწადში 32 დოლარს ვიხდიდით). ამიტომაც საერთოდ მივატოვე მანქანის რეცხვა. ასეთივე ბედი ეწია ყველა ჩემს მომღვწო მანქანასაც.

ალბათ, მანქანის რეცხვისადმი გამოჩენილი ენთუზიაზმი თანდათან გონივრულ სახეს მიიღებდა. არც ერთი ადამიანი არ რეცხავს მანქანას ყოველდღე მთელი სიცოცხლის მანძილზე. მეც ჯერ კვირაში სამ, მერე კი ერთ დღემდე შევამცირებდი „აბანოს დღეებს“. დროთა განმავლობაში კი ერთ ყოველწლიურ რეცხვასაც ვიემარებდი (ვხუმრობ). ყოველ შემთხვევაში, მაშინ მე ენთუზიაზმი, პასუხისმგებლობის გრძობა გამოვიჩინე და ამან სიამაყე მომგვარა, და არაფერიც არ უჭირს, რომ ყველა ეს დადებითი თვისება ჩვეულებრივი მანქანის წყლობით გამოვიჩინე. დაახლოებით იგივე ხდებოდა ჩემს ჯგუფთან დაკავშირებით. იგი გართობის წყაროდ კი არ იქცა, არამედ თვითგანათლების საშუალებად - ჯგუფმა მასწავლა დროის ყადრი, პასუხისმგებლობა იმ საქციელზე და მოქმედებაზე, რომლებსაც მე ისე ჩავდიოდი, როგორც კოლექტივის ნაწილი.



ჩემი მშობლები ვერ ხედავდნენ ყოველივე ამას და რაც უფრო ახლოვდებოდა სწავლის დამთავრების დრო, ჩვენს სახლში სულ უფრო ხშირად გაისმოდა კითხვა: „რის კეთებას აპირებ ცხოვრებაში?“ მე პასუხი მზად მქონდა, მაგრამ მათ იგი არასაკმარისად გონივრულად ეჩვენებოდათ. მე კი უკვე მიღებული მქონდა გადაწყვეტილება.

მარტო ჩემი მშობლები არ ფიქრობდნენ, რომ წარუმატებლობა მელოდა. ჩემი ცოლის, სიუხეტის და რამდენიმე მეგობარი მუსიკოსის გარდა, რომლებსაც ესმოდათ საქმის არსი, არ იყო ადამიანი, რომელსაც არ ეცადოს გადაეფიქრებინა ჩემთვის: ნათესაეები, მეგობრები, მეზობლები – ყველა. ყოველთვის, როცა ჯგუფს ზედხედ რამდენიმე წარუმატებლობა ხვდებოდა, აუცილებლად გამოჩნდებოდა ვიღაც, ვინც თანაგრძნობით მეტყვოდა: „იქნებ, სწორედ ახლა დროა ამ საქმეს შეეშვა?“

ნურავის მისცემ ნებას ზეგავლენა მოახდინოს შენს გადაწყვეტილებაზე. ძალიან ბევრს, ვინც ჯგუფიდან წასვლას მირჩევდა, გულწრფელად შესტკიოდა ჩემზე გული, მაგრამ ეს სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც თავის დროზე დათმეს და საკუთარ ოცნებას დაემშვიდობნენ. ეს ახლაც შეიმჩნევა შენს კლასშიც კი: ყურადღება მიაქციე იმათ, ვინც კარგად ვერ გრძნობს თავს მიზანსწრაფულ ან ისეთ ადამიანებთან, რომლებიც გარშემო მყოფთ უპირისპირდებიან და ღინების საწინააღმდეგოდ მოძრაობენ.

თუ მიზანი გაქვს, ისწრაფე მისკენ, განსაკუთრებით ვიდრე ახალგაზრდა ხარ და ოჯახის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა არ გაკისრია. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მოგვიანებით ვერ გაიკეთებ კარიერას, – რა თქმა უნდა, გაიკეთებ, თუ საკუთარ ძალებს ირწმუნებ, უბრალოდ სიყმაწვილეში ამის გაკეთება ოდნავ უფრო იოლია. შესაძლო წარუმატებლობამ არ შეგაშინოს. ამანუ ნუ იფიქრებ.

ღის სწაიდერის აქსიომა ამბობს: „ერთადერთი წარუმატებლობა ისაა, როცა არაფერს აკეთებ“.

რა თქმა უნდა, საკუთარი შესაძლებლობები და მათი ზღვარი რეალისტურად უნდა შეაფასო. ზოგჯერ ეს ზღვარი ფიზიკურია ხოლმე: დაახლოებით 180 სმ. სიმაღლის და 90 კგ. წონის გოგონას, რომელმაც გადაწყვიტა ბალერინა

გახდეს, ჯოჯოხეთური ტანჯვა ელის, ისევე, როგორც 150 სმ. სიმაღლის და 55 კგ. წონის ბიჭს, რომელიც ამერიკული ფეხბურთის მოთამაშის კარიერას აირჩევს. თუმცა ვინ იცის, იქნებ სწორედ შენ გახდე პირველი გიგანტური სიმაღლის და წონის ბალერინა ან „ბუმბულის წონის“ პირველი ფეხბურთის მეფე?

ძალიან ხშირად ადამიანები სტერეოტიპებს ემორჩილებიან – „ეს ბიჭი არა-



არტიტული, გოგო კი საერთოდ ძროხაო“ და შესაბამისად იქცევიან. შეიძლება სტერეოტიპს საფუძვლად ედოს ეროვნება, სქესი, ასაკი, სიმაღლე, წონა, გარეგნობა და კიდევ ათასი რამ. „ის მაშაყაცია და სამზარეულოში არ უნდა ტრიალებდეს!“ არადა, ყველაზე საუკეთესო მზარეულთა უმრავლესობას მაშაყაცები შეადგენენ. „გონებრივი შრომა ან ხელოვნების სფეროში მუშაობა სპორტსმენის საქმე არ არის!“ აი ასე ყალიბდება სტერეოტიპები და მიღის და მიღის!

მე ბევრჯერ მქონია ამისთანებთან საქმე. რადგან როცა ვარსკვლავი ვარ, მიაჩნიათ, რომ არ შემიძლია ფიზიკური სამუშაოს შესრულება და მითუმეტეს რაიმეს საკუთარი ხელით გაკეთება. მაგალითად, ერთხელ გადავწყვიტე ჯეისის ბაჭიებისთვის გალია გამეკეთებინა. ყველა, და მათ შორის ჩემი ცოლიც ცდილობდნენ ხელი აეღებინებინათ ჩემს განზრახვაზე. ცოლი გასაოგნებელ არგუმენტებს იშველიებდა: „დარწმუნებული ხარ, რომ გინდა ამის გაკეთება?–არა მგონია, რომ შეძლებ...“

მოკლედ, ვიცილე წიგნი, რომელშიც ახსნილია, როგორ უნდა გააკეთო ვეველაფერი, კოსმიური ხომალდიდან დაწყებული უბრალო ბაჭიების გალიით დამთავრებული. მევე მეზობელი მშენებლობიდან ფიცრები მოვიპარე, გაოგნებულ მამაჩემს კი ჩაქუჩი და ლურსმნები გამოვართვი და ისეთი დიდებული გალია გაკეთე, წყალბადის ბომბსაც რომ გაუძლებდა. როდესაც ჯეისის სანახავად ჩამოსულმა მამაჩემმა ჩემი ნახე-ლავე ნახა, გრძნობები მოერია, „დი, ჩემო ბიჭო, ნუთუ ეს შენ გააკეთე?!“ და გადამეხვია.



დარწმუნებული ვარ, რომ ბაჭიების გალიის გაკეთება ყველას შეუძლია, მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ დურგალი, როცა სცენაზე ან ტელევიზორში ჩემს გამოსვლას უყურებს, ფიქრობს: „დიდი ამბავი! მეც ჩავიცვამ ტყავის შარვალს, გაელამაზდები და ამ რეგვენს შეუძლია დაისვენოს!“

მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც გეტყვიან, შენ ასე ვერ შეძლებო. ყურადღებას ნუ მიაქცევ მათ. ნურავის მისცემ იმის ნებას, რომ რაღაც შეზღუდვები დაგიწესოს.

მე მიმაჩნია, რომ ძალიან ბევრი ვინმე ივარგებდა ხელოვნებაშიც და ნებისმიერ სხვა საქმეში. ზოგს პოლ მაკარტნიზე ნაკლებად როდი შეუძლია სიმღერების წერა, უბრალოდ ჯერ ვერ მიმხვდარან ამას, სხვები კი დი სწაიდერზე უარეს გალიას როდი გააკეთებენ (უარესის გაკეთება უბრალოდ შეუძლებელია). ამისათვის მხოლოდ და მხოლოდ დაწყებაა საჭირო.

როცა მომავალში ვინმეს მოუნდება გადაგაფიქრებინოს ის, რაც შენ უკვე გადაწყვიტე, –ქალთა პოეზიის გუნდში ნუ ჩაწერები, ყველა შაიბა შენ მოგხვდება საჯდომშიო, ან მორჩი სიმღერას, შენ ხომ სმენა არა გაქვსო, – ეს ისე აღიქვი, როგორც პირადი შეურაცხყოფა და იმავე დროს, როგორც დამატებითი მოწოდება მოქმედებისკენ. წინააღმდეგობები, წინაღობები ხომ იმისთვის იქმნება, რომ ისინი გადავლახოთ.

ერთადერთი წარუმატებლობა ის არის, როცა არაფერს აკეთებ. თუ მიზანი გაქვს, ესწრაფე მას.



ვინყებით თამაშს პრიზებით ვიქცობოდნა "ჯჷყის ყოლოთოჯებისათვის.."

ამბობენ, პირველი ვიქტორინა ადამიანებს სფინქსმა გაუმართაო, სინამდვილეში კი არავენ იცის, ვინ, სად, როდის და როგორ მოიგონა ვიქტორინა. მისი რაობა კი, ვფიქრობ, ყველასათვის ცნობილია – ეს არის ერთგვარი თამაშობა, რომლის დროსაც მონაწილეებმა უნდა უპასუხონ მთელ რიგ კითხვებზე ცოდნის სხვადასხვა დარგებიდან. დღეს ათასგვარ ვიქტორინაში უამრავი ადამიანი მონაწილეობს. ზოგი აღწევს მიზანს, ზოგი – ვერა, საბოლოო ჯამში კი ყველა მოგებულნი რჩება, თუნდაც იმიტომ, რომ ვიქტორინის კითხვებზე პასუხების ძიებაში დიდძალ ლიტერატურას ფურცლავს, ბევრ ახალ რამეს იგებს, ცოდნას იმდიდრებს და თვალსაწიერს იფართოებს.

შარშან ჩვენ ჩავატარეთ პირველი ასეთი კონკურსი და დავრწმუნდით, რომ მიზანს მივაღწიეთ. ვინყვეთ ვიქტორინა-კონკურს „ნაკადული 2003“-ში მონაწილეობის მისაღებად და გთავაზობთ პირობებს: თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია „ნაკადულის“ ყველა მკითხველს.

თამაშში-ვიქტორინა ჩატარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპის კითხვების პასუხების მიღების ბოლო ვადაა 20 მარტი, მეორე ეტაპის – 10 მაისი. გამარჯვებულთა ვინაობა ორი ეტაპის შედეგების მიხედვით დადგინდება. შეფასებისას მხედველობაში მიიღება არა მარტო პასუხის სისწორე, არამედ მისი მოწოდების ფორმა, მახვილგონიერება და ორიგინალობა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მახვილგონიერულმა პასუხმა უფრო მეტი ქულა დაიმსახუროს, ვიდრე სწორმა, მაგრამ მოსაწყენმა.

გამარჯვებულები, რომლებიც ორივე ეტაპის ჯამში ქულათა მაქსიმალურ რაოდენობას დააგროვებენ დაჯილდოვდებიან. დაწესებულია ფულადი პრემიები, ფასიანი პრიზები და საჩუქრები.

პასუხის გამოგზავნისას ზუსტად მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი, მისამართი, სკოლა, კლასი, ტელეფონის ნომერი. ჩვენი მისამართი მოცემულია ჟურნალის პირველ გვერდზე.

ბისურჷბში წარმატებას!

მელსაც საქართველოში ახალწლის საღამოს ან მეორე დღეს ასრულებდნენ?



1. ვინ იყო საქართველოს უკანასკნელი დედოფალი და რა ბედი ეწია მას?

6. „ღმერთო, შენი მაქვს იმედი! ფეხზე ააყენე ჩვენი მამული, ჩვენი შეფერხებული ისტორია, მოგვეც განახლების ძალთა ღონიერება! ღმერთო, შენ დაამხე მტერი ქართველთაჷპია!“ – გიორგი ლენინის რომელი მოთხრობის რომელ გმირს ეკუთვნის ეს სიტყვები?



2. სად არის დაკრძალული დიდი ქართველი მწერალი, ლექსიოგრაფი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი?



7. აკაკი წერეთლის ეს ბიუსტი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერში დგას. ვინ არის მისი ავტორი?

8. ხომ გახსოვთ, სიტყვები გრიგოლ ორბელიანის „მუხამაზიდან“ „ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ“... თბილისის რომელ ბაღს ერქვა ორთაჭალისა და რა იცით მის შესახებ?



3. ახლახან თბილისში დაიდგა დავით სარაჯიშვილის ძეგლი. რა დამსახურება მიუძღვის ამ ადამიანს ქართველი ხალხის წინაშე?

9. „ქართველნი წინაპარნი ჩვენნი იყვნენ თუმცა კირთეზასა შინა სხვათა და სხვათა მკებრობელთა მიერ, – მაკედონელთაგან, რომაელთაგან, ბერძენთაგან, ეგვიპტელთაგან, სპარსთაგან, სკვითთაგან, ოსმალთაგან და ჩინგიზთაგან, მაგრამ სიყვარული მამულისა და სიმაგრე სულისა ვერა დაატოვებდეს, იძლევენ და სძლიეს, იდევენ და განდევნეს და ესრეთ მოიგეს უკვდავებისა სახელი!“ – ეს ნაწევრები „კალმასობიდანაა“ აღებული. ვინ არის ამ თხზულების ავტორი, რა იცით მის შესახებ?

4. რა წარწერა-ლექსი უძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ცნობილ ნუმისმატიკოსს, პოეზიის მოყვარულს, დეკაბრისტ პ. ბარათაშვილს (კნიაზ ბარათოვს) აზარფუმის შესამკობლად?

10. რქაწითელი, ხარისთვალა, კლბრჯული, ძველშავი, კრახუნა... შეავსეთ თქვენთვის ცნობილი ქართული ყურძენ-ვაზის ჯიშების სია.



მაიფუზია კუდი და ბალახები!



ხერხემლიან ცხოველთა წინაპრები კუდიანი არსებები იყვნენ. დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი იძულებული გახდა უარი ეთქვა კულზე. დათმეს სხეულის ეს სამშენისი თხუნელებმა, ბრუტებმა, ბიკებმა. ამ მიწისმთხრელებს გრძელ და მიხვეულ-მოხვეულ მიწისქვეშა ღეროვნებში კუდი ხელს თუ შეუშლიდა, თორემ ისე არაფერში გამოადგებოდა. ზედმეტი აღმოჩნდა კუდი ბუჩქნარების, ბარდებისა და ხშირი ბალახის ბინადარი ცხოველებისთვისაც. ცხოველთა დიდი უმრავლესობისთვის კი კუდი სხეულის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილსა და ბევრ სხვადასხვანაირ ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, ციფებს, კვერნებს, სიასამურებს, ლემურებს, ზოგიერთ სახეობის მაიმუნებს და ბევრ სხვა ცხოველს ფაფუკი კუდი წონასწორობის შენარჩუნებასა და ტოტებზე სწრაფად გადასვლა-გადმოსვლაში ეხმარება. ხეზე გადახტომისას კუდი საჭის მოვალეობას ასრულებს. კუდი-საჭე უდაბნოებისა და სტეპების მორბენალ ცხოველებსაც სჭირდებათ და ფრინველებსაც. სხვათაშორის, ფრთოსნები კუდს დაფრენა-დაჯდომისას მუხრუჭადაც იყენებენ. ბევრი ცხოველი კუდს ხეებზე და კედლებზე ცოცვისას იყენებს, ზოგი მათგანისთვის კი კუდი მეხუთე თათის მაგივრობას სწევს.

სრულიად განსხვავებული, სიცოცხლის გადარჩენის ფუნქცია აკისრია ზოგიერთ სახეობის ხვლიკების, ოთხთავა კაბილჯაგარას, სკაროსის და სხვათა კუდს.

ზღვის სიღრმეში, მარჯნის რიფების სიახლოვეს ბინა-

მაგალითად, ჰიდროიდული პოლიპები და აქტინიები გაჭირვებისგან თავის დასახსნელად საცეცებს იწყებენ, რგოლოვანი ჭიები - სხეულის ბოლოს, კიბოსნაირნი - მარწუხებსა და სხვა. ჩვეულებრივ სხეულის მოწყვეტილ ნაწილს ცხოველი კვლავ აღიდგენს. აუტოტომიის წყალობით ინარჩუნებენ ხშირად სიცოცხლეს ხვლიკები. მტერი მისდევს ხვლიკს, ისიც გარბის, გარბის და უეცრად კუდს იწყვეტს, გაოგნებული მღვერის თათებში კუდი რჩება, თვითონ ხვლიკი კი გაუჩინარებას ასწრებს.

აუტოტომიის უნარით ზოგიერთი ძუძუმწოვარა ცხოველიცაა დაჯილდოებული, მაგალითად, ტყის თაგვები. მათ მთელი კუდი კი არ სწყდებათ, არამედ კანი კუდის ბოლოზე; თაგვი კანის შალითიდან კუდის ბოლო ძალებს იღებს, ისე, როგორც ჩვენ ხელს ხელთათმანებიდან. ეს თვისება კიდევ თხუთმეტამდე სახეობის მღრღნელებს ახასიათებს. აფრიულ მღრღნელებს - მოხდენილ ძილგულა-გრაფიუროსებს კუდში ბევრი „სუსტი ადგილი“ აქვთ, რომლებიც ერთმანეთისგან დაახლოებით 8 მილიმეტრის მანძილზე განლაგებული. ძილგულას შეუძლია ნაწილ-ნაწილ მოიცილოს კუდი. ცხადია, მტერი დაიბნევა, როცა დაინახავს, რომ მის მიერ თვალში ამოღებული მსხვერპლი ვხადავხა სხეულის ნაწილს ტოვებს. ძილგულა კი ამასობაში სოროში შერგავს

22828



დროს უცნაური გარეგნობის თევზი, ოთხთავა კბილჯაგარა. შეხედავთ ამ თევზს და იფიქრებთ, რომ თქვენ წინაშე ორთავა არსებაა, ხოლო თუ მის დაჭერას მოინდომებთ, გამტკნარებული დარჩებით - კბილჯაგარა წამიერად იცვლის მოძრაობის მიმართულებას და კუდით წინ გააგრძელებს ცურვას. საქმე ის არის, რომ ამ თევზს კუდზე უცნაური პიგმენტური ლაქა - „ყალბი“ თვალი აქვს. ასე „უკუღმა“ ცურვით ოთხთავა კბილჯაგარა ატყუებს მტაცებლებს, რომლებიც ცდილობენ თავში სწვდნენ მას, ასეთი საოცარი კუდის პატრონი თევზი კი ნამდვილი თავით წინ მიცურავს და მტერს ხელიდან უსხლტება.

სულ ადვილად ატყუებს მტრებს კუდფარიანი გველიც. ამ ქვეწარმავალს პატარა წაწვეტილებული თავი და მოკლე, ირიბად ჩაჭრილი კუდი აქვს, რომელზეც ორი მზზინავი ლაქა, ყალბი თვალები აქვს. როცა მტაცებელი ფრინველი ასეთ „თავს“ დააცხრება, გველი „კუდს“ სწრაფად მალავს სოროში და უვნებელი რჩება.


ზოგ ცხოველს აუტოტომიის ანუ თავის გადარჩენის მიზნით კუდის მოწყვეტის საოცარი უნარი გააჩნია. აუტოტომია უფრო უხერხემლოთა შორის არის გავრცელებული.

თავს და მტაცებლისთვის მიუწვდომელი ხდება.

ეს სულ კუდით პასიური თავდაცვის მაგალითებია. შედარებით იშვიათად იყენებენ ცხოველები კუდს აქტიური თავდაცვისათვის. ასე იქცევიან მაგალითად, ეკალკულები. ამ ხვლიკებს სწორ განივ რიგებად განლაგებული მსხვილი ეკლიანი ქერცლით დაფარული მოკლე ბრტყელი კუდი აქვთ. ეკალკულა ხვლიკების დაუძინებელი მტრები გველები არიან. როგორც კი მისკენ გამოსრიალებული გველის ხმას გაიგონებს, ეკალკულა თვითონ სოროში ძვრება, კუდის ბოლოს კი გარეთ ტოვებს, თან აქვთ-იქვით აქნევს მას. ამ იარაღს რომ წააწყდება და თან კარგად ძლიერ დარტყმებსაც იგემებს, გველი უკუიქცევა.

მახვილკულა სკოროს ერთი ან რამდენიმე, პირით უკან გადაღუნული ხანჯლისებრი ნემსით აღჭურვილი კუდი აქვს. ნემსის ქვედა ზედაპირს გაუყვება ღარი, რომლის ფსკერზეც განლაგებულია შხამის გამომყოფი უჯრედები. ვაი იმას, ვინც შემთხვევით დასასვენებლად გაუჩუქებულ სკაროსს შეაწუხებს - იგი მაშინვე კუდს მიმართავს და...

როგორც ხედავთ, კუდი ბევრი ცხოველისთვის თავის გადარჩენის საშუალებაა.



ოჯოშხერი

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს

იმ დღეს მეცხრე I კლასელებს ინგლისურში განსაკუთრებული გაკვეთილი ჩაუტარდათ. მასწავლებელმა საკლასო ოთახში ღონღონიდან ჩამოსული სტუმარი შეიყვანა, ბავშვებს გააცნო და დასძინა, დღეს მისის ენი ავიხსნით ახალ მასალასო.

ნისლიანი ალბონელის წინაშე ქართველმა ბავშვებმა მართლაც რომ ძალიან გამოიჩინეს თავი და აგრძობინეს სტუმარს, თქვენს მშობლიურ ენას ჩვენც თავისუფლად ვფლობთო.

გაკვეთილის დამთავრებას წუთებიღა აკლდა. მისის ენიმ მოსწავლეებს საქმე გამოუჩინა. - მსოფლიოში ცნობილი ქალები დამისახელებო. უნდა გენახათ, რა ამბავი დატრიალდა კლასში: ერთმანეთს სიტყვის დამთავრებას არ აცლიდნენ, ადვილიდან ელვის სისწრაფით ისროდნენ ათასგვარ უცხოურ სახელს: ჯულია რობერტსი, სინდი კროფორდი, კლაუდია შიფერი, ნაომი ქემბელი, ბრიტნი სპირსი, ელიზაბეტ ტეილორი, პამელა ანდერსონი, ლედი დი, კამილა პარკერი, ელისაბედ დედოფალი, ბარბარა ბუში, გაბრიელ საბატინი, ნიკოლ კიდმანი, მეგ რაიანი, ჯენიფერ ლოპესი, მადონა, კურნიკოვა. მარგარეტ ტეტჩერი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი. ერთ-ერთმა მოსწავლემ გაუბედავად წამოიძახა - ნანული შევარდნაძე. ატყდა ერთი ხარხარი, სიცილისგან მთელი კლასი ჩაბჟირდა. გოცებულები მისის ენი კი ბავშვების დამშვიდებას ცდილობდა და თან შეუსწვეტლივ გაიძახოდა „yes, yes“. დიახ, დიახ, მართალიაო.

ასე მხიარულ ჟრიაშულში დასრულდა გაკვეთილი.

ევროპულ-ამერიკულად უსაშველოდ განვითარებული ქართველი ბავშვებიდან ერთსაც კი არ გახსენებია მსოფლიოში ცნო-

კალერი, ვაკო, როვორც მას ეძახიან, პატარაობიდანვე

თბილისის 55-ე სკოლის VIII კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. ვალერი, ვაკო, როვორც მას ეძახიან, პატარაობიდანვე ცდის კალამს, ხშირად მონაწილეობს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში და მისი ნაწერები ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებს.

ვაკო სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული „ინტელექტულების“ აქტიური წევრია და აქაც წარმატებებს აღწევს. მას სპორტიც უყვარს, სიამოვნებით მონაწილეობს ხოლმე „ოლიმპიური სტარტების“ ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში.

მის გამარჯვებებზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი სიგელები და სერტიფიკატები, რომლებსაც ოჯახში სათუთად ინახავს. შარშან ვალერი ძამუკაშვილის ჩანახატი „ჩემი მეგობარი მწერალთა კავშირის სახლი“ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა.


ბილი ქართველი ქალები: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, მაია ჩიბურდანიძე, ნინო ანანიაშვილი, ლიანა ისაკაძე და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი, ყველა მეც არ მახსენდება, ბევრზე კი მეც არა მსმენია.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს!

გათენდა

ცისკარი ბნელს ქოჩორში სწვდა და ქვეშ გაიგდო. ნათელი მერთალად შემოიპარა, მერე თანდათან გათამამდა და იქაურობას დაეპატრონა. მზემ ერთი გაიზმორა, კლდის კალთას ტაატით შეუდგა და როცა ქიმს ზემოდან მოექცა, ღრუბლებში გაძვრა, უთვალავ ჩახჩახა ძაფად ჩამოიშალა და დედამიწას შიგ გულში ჩაექარგა.

გათენდა. ჰეი, ქართველო, გაიღვიძე, უკვე გათენდა!!!



თაბარ აკაძემ, თბილისის 168-მ საშუალო სკოლა, VI კლასი



ახსებობენ თუ ახა მოჩვენებები?


ზოგი ადამიანი ირწმუნება, ნამდვილი მოჩვენება ვნახეო, და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთები მრავლად არიან. აი რას ამბობს ინგლისის მოჩვენებათა კლუბის პერეზიდენტი (დაიხ, ინგლისში ასეთი კლუბებიც არსებობს) პიტერ ანდერვუდი ამის შესახებ: მოჩვენებებთან შეხვედრების 98 პროცენტი ბუნებრივი მიზეზებით აიხსნება. ვილაც სავარძლის საზურგეზე მიგდებულმა კაბამ შეიყვანა შეცდომაში, ვილაც კიდევ სარკეში თვალმოკრულმა გამოსახულებამ. ხოლო დანარჩენ ორ პროცენტს ვერანაირ ახსნას ვერ მოეძებნი.

უკვდებთ ხოლმე ყურს სხვის მონაყოლს, კვითხულობთ დაწერილს, ფილმებსაც უყურებთ და გვჯერა, და არც გვჯერა, გვეშინია რომ თუ ზებუნებრივს დავიჯერებთ, სულელთა რიცხვში აღმოვჩნდებით. მაგრამ მოდით, ვნახოთ, ვინ ურევია ამ „სულელებში“, სულელების არსებობისა რომ სჯეროდათ. ვინ და: პლუტარქე, პლინიუსი, სოკრატე, ციცერონი... მოგეწონათ საზოგადოება?

იქნებ ჩვენც გვინახავს ეს მოჩვენებები, ოღონდ ვერ ვიცანით? მაინც როგორ გამოიყურებიან, ვის ან რას ჰგვანან? ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ ყველა მოჩვენება ზეწარშია გახვეული, როგორც ასტრიდ ლინდგრენის მიერ მოგონილი „ველური, მაგრამ სიმპათიური მოჩვენება“ ვაზასტონიდან, ძალიან ცდება. როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, მოჩვენებები სულ ნაირნაირები არიან.

1966 წელს ერთ მღვდელს უმარჯვინა და გრინვიჩში, დედოფლის სასახლეში ჰენრიეტა დედოფლის აჩრდილი ფოტოფირზე აღუბეჭდავს. ბევრ მეზღვაურს უნახავს ხომალდი – აჩრდილი „მფრინავი პოლანდიელი“, და მათ შორის მეფე გეორგ მეხუთეც არის. თვითმხილველთა თქმით, ნიუ-იორკის ცენტრალურ რეინიგზაზე რამდენიმე წლის განმავლობაში დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე მატარებელი-აჩრდილი, აბრაამ ლინკოლნის სამგლოვიარო მატარებელი. ერთუზიასტა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ორი სტუდენტი, ერთი ფიზიკოსი, ერთი მუშა და ერთიც მილიციელი, თვალს ადევნებდა უზარმაზარი შავი ადამიანისა და იდუმალი კატების აჩრდილებს, რომლებიც მოსკოვის ქუჩებში ჩნდებოდნენ ღამ-ღამობით. აჩრდილები პირდაპირ კედლიდან გამოდიოდნენ და კედელშივე

უჩინარდებოდნენ. მაინც როგორ უნდა ვიცნოთ მოჩვენება? როგორ უნდა მივხვდეთ, რომ მოჩვენებასთან გვაქვს საქმე და არა რეალურ არსებასთან? იგივე პიტერ ანდერვუდს მიაჩნია, რომ როგორც უნდა გამოიყურებოდნენ მოჩვენებები, მათი მთავარი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ისინი არანაირ ხმას



არ გამოსცემენ და უეცრად ძალიან უცნაურ ვითარებაში ქრებიან.

ახლა მეცნიერების აზრსაც გავეცნოთ. მათ ნაწილს მიაჩნია, რომ ადამიანის სხეული ელექტრომაგნიტური ტალღების ფართო სპექტრს გამოასხივებს. თბურ გამოსხივებასთან მიახლოებული დიაპაზონის ტალღებზე დაკვირვებით (ეს ყველა შინაგანი ორგანოს დამუხტულ უჯრედთა მემბრანების რხევის სიხშირეა) დადგინდა, რომ ისინი შეთანხმებულად, ანუ როგორც ფიზიკოსები ამბობენ, კოჰერენტულად ირხევიან. თუმცა კოჰერენტულ გამოსხივებას ჩვენ ტექნიკის წყალობით უფრო ვიცნობთ – ეს ლაზერული სხივია. სწორედ ის ქმნის პოლოგრაფიულ გამოსახულებას და თუ ასეა, რატომ არ უნდა შევადაროთ ადამიანი ლაზერს, ოღონდ მიკროტალღოვან დიაპაზონში მომუშავე ლაზერს?

შეიძლება პოლოგრამები მარტო ფოტოფირფიტებზე კი არა, ტემპერატურისადმი მგრძობიარე მასალებზეც გაჩნდეს. მაგალითად, ზეთის საღებავის ან ლაქის აპქზე... ახლა კი წარმოიდგინეთ მხატვარი, რომელიც თავდავიწყებით ხატავს პორტრეტს. თერმომგრძობიარე ზე-

დაპირზე რჩება მკაფიო, ოღონდ ცხელია, რომით უხილავი კვალი. პორტრეტი ძველ ციხე-დარბაზში ჰკიდია და ღამე ვინმე შიშისგან აცახცახებული მოდის მის სანახავად. წარმოიშობა რეზონანსის მსგავსი რამ, აწყობა გამოსხივების იმავე სიხშირეზე, მხატვარს რომ გააჩნია. პოლოგრამა ცოცხლდება... მოჩვენებაა?!

ვინ იცის, იქნებ ასეცაა. ძიება გრძელდება.

საინტერესო მოსაზრება გააჩნია ოთხ ინგლისელ ჭაბუკს, რომლებიც საკუთარ თავს აჩრდილებზე მონადირეებს უწოდებენ. ეს ახალგაზრდები მონადირეები კი არიან, მაგრამ კი არ ნადრობენ, არამედ იმათ ეხმარებიან, ვისაც საკუთარ სახლში მომხდარი აუხსნელი მოვლენები ამინებს.

–უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვცდილობთ დავადგინოთ: ფიზიკური მოვლენაა ეს თუ ფსიქოლოგიური – ამბობს ჯგუფის ხელმძღვანელი რობინ ფარმენი – აქ პროფესიონალი უნდა იყო თუ მოვლენა წარმოსახვის გაზვიადებული ნაყოფი არ არის, მონადირეები მოვლენის ადგილზე საკუთარი აპარატურით იწყებენ მუშაობას. ამოწმებენ ტემპერატურას, განათების ინტენსიურობას, ვიბრაციას. თვითონ რობინ ფარმენს არ სჯერა იმ მოჩვენებების არსებობა, რომლებიც თითქოსდა სამარიდან დგებიან და ცოცხლებს ამინებენ. მას სჯერა იმ რაღაც – „ძალისა“, რომელსაც ადამიანები კეთილი ან ბოროტი მიზნებისთვის იყენებენ. სწორედ ამ ძალას სწავლობს იგი.

მონადირეებს მიაჩნიათ, რომ ადამიანებს ყველაზე მეტად გაურკვეველობისა ეშინიათ. უმეტეს შემთხვევაში ისინი ახერხებენ მათ დამშვიდებას, უხსნიან მოვლენას (ის 98 პროცენტი გავიხსენოთ), ხოლო თუ მოვლენა აუხსნელია, ბოლოს და ბოლოს შეიძლება შეეურიგდეთ მას. ბევრი ადამიანი მეგობრობს მოჩვენებებთან, ის კი არადა, ოჯახის წევრებადაც კი მიიჩნევენ მათ. ხოლო თუ აუხსნელ მოვლენასთან შერიგება შეუძლებელია, მაშინ მღვდელს ან მედიუმს იწყევენ. უფრო ადვილდაც კი ხდება ხოლმე. საკმარისია გაარემონტოთ, გაანიავოთ ოთახი იქნება, თუ სხვა სათავსო, და ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება. კარგ საქმეს აკეთებენ ეს ინგლისელი ახალგაზრდები. იქნებ ჩვენთანაც გაჩნდნენ ასეთები? რატომაც არა, ჩვენთანაც ხომ ასე ხშირია სხვადასხვა უცნაური, აუხსნელი მოვლენები.



კითხვა-თქვენი


მანტეხეხებს, სძინავთ თუ ახა თევზებს, და თუ სძინავთ, ხოგოჩ?

კასო გილაგვილი, 9 წლის

როგორი ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, თევზსაც სძინავს ხოლმე. მდინარის თევზებს კიდევ არა უშავთ: ღამე მათ ქვიშაშიც შეუძლიათ ჩაეფლან და ისე იძინონ, და დამალვაც უფრო ეადვილებათ. ზღვის თევზებს კი უფრო უჭირთ. რამდენიც უნდა ეცადონ, ფსკერამდე ვერ ჩაყვინთავენ, ამიტომაც ან ბუშტს ოდნავ ბერავენ, ან პირიქით, ჩუტავენ და ხან მუცელაღმა იძინებენ, ხან თავით ქვევით...

შემოდგომასა და ზამთარში მტკნარი წყლების ბინადარი თევზების ცხოვრება მკვეთრად იცვლება. როდესაც წყალი მდინარესა თუ ტბაში შვიდ გრადუსამდე ცივდება, თევზები თავს გამოსაზამთრებელ ორმოებში იყრიან, სადაც თავისებური საძინებელი ოთახი აქვთ მოწყობილი. შეგროვდებიან, მიკრობებისგან თავის დასაცავად ლორწოთი შეიმოსებიან და ხანგრძლივ ძილს მიეცემათ. ბევრ თევზს კი შეუძლია საზამთროდ საერთოდ ყინულში ჩაიყინოს და ისე იძინოს. აი ზვიგენებს კი, როგორც ვარაუდობენ, არ სძინავთ არც ღამე და არც ღამე, დაცურავენ ასე ზღვებსა და ოკეანეებში და წამითაც ვერ იძინებენ. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. ვინ იცის, იქნებ, ისინი სულაც ცურვის დროს ახერხებენ გამოძინებას?

შენც შეამჩნევდი, რომ თევზებს ქუთუთოები არ გააჩნიათ და ბუნებრივია, ამის გამო თვალგახელილებს სძინავთ.



მახთალია, ხომ ნახევარი მსოფლიო ინგლისურ ენაზე დაკაჩაყობს? თუ ახსებობს ინგლისურზე მეტად გავრცელებული სხვა ენა?

გუგა ინასარიძე, 13 წლის

ენები ენათა ოჯახების მიხედვით არის კლასიფიცირებული. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ენების ინდოევროპული ჯგუფია. ამ ენებზე დაახლოებით 2 მილიარდი ადამიანი ლაპარაკობს. მეორე ადგილზე ჩინურ-ტიბეტური ოჯახია-1,2 მილიარდი ადამიანი. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი პლანეტის ყველაზე გავრცელებული ენები.

აღამიანთა რაოდენობა, 26 რეგიონისთვისა და ენათა ჯგუფი

1. ჩინური (დიალექტებითურთ)	1 100	ჩინურ-ტიბეტური
2. ინგლისური	350	ინდოევროპული
3. ესპანური	250	ინდოევროპული
4. არაბული	220	სემიტური
5. ჰინდი	200	ინდოევროპული
6. ბენგალი	160	ინდოევროპული
7. პორტუგალიური	160	ინდოევროპული
8. რუსული	150	ინდოევროპული
9. იაპონური	125	იაპონური
10. გერმანული	90	ინდოევროპული
11. იაური	80	ავსტრონეზიური
12. ფრანგული	70	ინდოევროპული
13. პანჯაბი	70	ინდოევროპული
14. ბიპარი	65	ინდოევროპული
15. კორეული	65	კორეული
16. იტალიური	60	ინდოევროპული
17. ტელუგუ	55	დრავიდული
18. ტამილური	55	დრავიდული
19. მარათი	50	ინდოევროპული
20. ვიეტნამური	50	ავსტრონეზიური

პასუხი-ჩვენი



საგარეჯოში თოჯინები ისეკ იცინიან

ნაპოლეონი
1804-1821

თეატრალური ტრადიციებით ცნობილ საგარეჯოში, სადაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში არსებობდა სახალხო თეატრი, დღეს ამ ტრადიციებს მხოლოდ თოჯინების თეატრი აგრძელებს. „ხატის კაკლების“ ზღაპრულ მდებარეობაზე, ძველი შენობის ადგილზე, სადაც 1914 წლიდან მოყოლებული სახალხო თეატრი თავის წარმოდგენებს მართავდა, 22 წლის წინ აიგო კულტურის სახლი. სწორედ აქ მუშაობს ამჟამად თოჯინების სახალხო თეატრიც, რომელიც 45 წლის ისტორიას ითვლის.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1956 წელს ილია ბუზიაშვილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა თოჯინების წრეს, რომელსაც შეფობას თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი უწევდა.

თეატრი ნორჩი მყურებლის წინაშე წარსდგა ჯუღელის პიესით „ნანა ტყეში“. მყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო პრემიერა, რამაც ახალბედა მსახიობებს მეტი ხალისი და მხნეობა შემატა. მას შემდეგ უამრავი სპექტაკლი დაიდგა. თეატრი აგრძელებდა სიცოცხლეს და მყურებელს თავისი მდიდარი რეპერტუარით ახარებდა. მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყანასთან ერთად საგარეჯოს თოჯინების თეატრსაც გაუჭირდა, იგი დაღუპვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ყველაფერთან ერთად თეატრი გაძარცვეს, დარჩა თოჯინების თეატრი უთოჯინებოდ. მისი აღორძინების იმედი აღარავის ჰქონდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მხსნელი, ერთუზიანებით აღსავსე შემოქმედი, ბავშვებზე შეყვარებული და მათზე მზრუნველი ქალბატონი მარინე შიოშვილი.

ქალბატონ მარინეს მოწადინებით, დაულალავი შრომით და რუღუნებით თოჯინების თეატრი კვლავ აღსდგა და პატარებს კვლავ მიეცათ საშუალება შეხვდნენ საყვარელი ზღაპრების გმირებს, მათთან ერთად იმოგზაურონ ზღაპრულ სამყაროში, გაერთონ და იმხიარულონ. ქალბატონმა მარინემ ბევრი თოჯინა საკუთარი ხელით გააკეთა, ამიტომაც ბავშვებივით ექცევა, სათუთად უვლის და ეფერება მათ. ეს პატარა არსებები უკსებენ და ულამაზებენ მას სიცოცხლეს, ეხმარებიან ბავშვების გახარებასა და გამხიარულებას.

—ქალბატონო მარინე, თქვენ პროფესიით პედაგოგი ბრძანდებით, ამ სფეროში თქვენი მოღვაწეობა რამ განაპირობა?

—ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. კულტურის სახლში სამუშაო შემომთავაზეს.

უნდა გითხრათ, რომ საგარეჯოს თოჯინების თეატრს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. იგი 1956 წლიდან არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში წარმატებაც იყო და ჩავარდნაც. ერთ-ერთი ასეთი მძიმე პერიოდი საგარეჯოს თოჯინების თეატრს 90-იან წლებში დაუდგა. ამ დროს სპექტაკლები არ იდგებოდა, სწორედ ასეთ ვითარებაში მოვხვდი თეატრში. დაიბადა აზრი, აგველორძინებინა თეატრი და გავგეახლებინა სპექტაკლების დადგმა. 1995 წელს გადაწყვიტეთ ბაკშვილისთვის სახალწლო საჩუქარი მოგვემზადებინა. მოვებნეთ ძველი თოჯინები, აღვადგინეთ და სპექტაკლიც გავმართეთ. იმ შთაბეჭდილებამ, რაც მე იმ ახალ წელს მივიღე, გადამწყვეტინა დაერჩინილიყავი ამ სფეროში და ალაბათ ვერც ვერასდროს შეველევი აქაურობას.

—თქვენი აზრით რას აძლევს თოჯინების თეატრი ბავშვს?

—თოჯინების თეატრი ბავშვის ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. ხოლო თუ რას მისცემს თოჯინების თეატრი პატარას, ეს უკვე დამოკიდებულია სპექტაკლის დამდგმელზე, სცენარის ავტორზე, და იმაზე, როგორ ადამიანების ხელში ჩავარდება თეატრი.

—ე.ი. უცილებელია რომ ბავშვმა იაროს თოჯინების თეატრში?

—რა თქმა უნდა, აუცილებელია, თუნდაც იმიტომ რომ ბავშვების აღზრდა თამაშის საშუალებით უფრო ეფექტურია, ვიდრე დასვა და უჩიჩინო, ლექციები უკითხო, მშრალი შეგონებებით იმდენს ვერ მიადწევ, რამდენსაც ასე, თამაშ-თამაშ, გართობის ელემენტების გამოყენებით.

თოჯინების მეშვეობით უფრო ადვილად, ბუნებრივად ჩაუნებრავ ბავშვს სიყვარულს, მიახვედრებ, რა არის კარგი და რა არის ცუდი. ვურჩევ ყველა მშობელს გაითვალისწინონ ეს გარემოება და ნუ მოაკლებენ თავიანთ შვილებს თეატრით მიღებულ სიამოვნებას.

—მაყურებელი თუ გყავთ?

—მოგეხსენებათ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური გაჭირვებაა და მშობლებს ძალიან ბევრი საზრუნავი აქვთ და ბევრს არც იმის დრო აქვს და არც საშუალება, რომ შვილების სულიერ განვითარებაზე იფიქროს. ცხადია, ამგვარი მდგომარეობა თავისთავად მაყურებლის რაოდენობაზეც აისახება, მაგრამ მათ, ვინც ერთხელ ყოფილა ჩვენს სპექტაკლზე, თეატრში მოსვლა მოთხოვნილებად, ჩვევად გადაეცაო

და ასეთები ხშირად ნოდიან. იმედს არ ვკარგავთ, რომ დროთა განმავლობაში ბევრად მეტი მაყურებელი გვეყოლება.

რამდენიმე წლის წინ საგარეჯოს თოჯინების თეატრის დასი რვა კაცს ითვლიდა, დღეს კი მათი რიცხვი სამს შეადგენს. ქალბატონ მარინე შიოშვილს მხარში უდგანან ბადრი დრეიძე და მიხეილ ხოკერაშვილი, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა საგარეჯოს თოჯინების თეატრმა კვლავაც იარსებოს. ბადრი დრეიძის დებიუტი 1985 წელს შედგა სპექტაკლში „გიგლას სიხმარი“, რომელშიც მან სულელი გეჯას როლი შეასრულა. მას შემდეგ მან კიდევ არა ერთი გმირი განასახიერა და რომ ჰკითხოთ, რომელი მათგანი უფრო უყვარს, ვიპასუხებთ, ყველა მათგანში დიდი შრომა მაქვს ჩადებული, ყველას ბავშვებზე ფიქრით ვამზადებდი და ამიტომაც ყველა ერთნაირად მიყვარსო.

ასევე დიდი ერთგულებითა და სიყვარულით ემსახურება საქმეს მიხეილ ხოკერაშვილიც. პატარა მაყურებლების ემოციები, სიხარული, აღტაცება, ტაში ის სტიმულია, რომელიც მას ყოველ მომავალ სპექტაკლზე, ყოველ ახალ როლზე მუშაობაში ენერჯის და ხალისს მატებს.

1999 წელს საგარეჯოს თოჯინების თეატრმა სახალხო თეატრის წოდება მიიღო. ეს იყო მოყვარულთა ამ სამყაროში დასის უდიდესი აღიარება და ღვაწლის დაფასება. თუმცა თეატრის მდგომარეობა მას შემდეგ დიდად არ გაუმჯობესებულა, მაგრამ მარინე შიოშვილს, ბადრი დრეიძეს და მიხეილ ხოკერაშვილს ამ ამბავმა ფრთები შეასხა და იმის რწმენა გაუორმაგა, რომ ნამდვილად საჭირო საქმეს ემსახურებიან და იმის იმედიც შემატა, რომ მალე ყველაფერი გამოსწორდება და ისინი თავიანთი თოჯინებით კიდევ უფრო მეტ სიხარულს მიანიჭებენ ნორჩ მაყურებელს. ჯერჯერობით კი კვლავაც საკუთარი ერთუზიანებით აცოცხლებენ თეატრს, ჩვეული პასუხისმგებლობით და სიყვარულით მუშაობენ ახალ-ახალ სპექტაკლებზე, მოგზაურობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ყველგან ხალისი და სიხარული მიაქვთ პატარებისთვის. საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრს სამომავლოდ ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი და გეგმა აქვს და ეჭვი არ არის, რომ პატარა მაყურებელს წინ დიდი სიამოვნება ელის.

ნათია ჩავიძე
საბარძელო



ჩიტი ზრის ზღნიერი ღონღ მასწავლებელი მენეჟერი რეატიონი რეატიონი



სწავლებელს ჩაბარებენ. და ყოველი მათგანისთვის ეს ადამიანი პირველი მასწავლებელი ზღბა. თითოეული მათგანს მერე და მერე, სკოლის დამთავრებამდე კიდევ ბევრი მასწავლებელი ეყოლება, მაგრამ პირველი მასწავლებელი სამუდამოდ რჩება მთავარ მასწავლებლად.

სკოლაში სწავლის პირველ წლებში ეყრება ძირითადად საძირკველი ადამიანის მეობას და იმაზე თუ, რა ჩაიდება ამ დროს საძირკველში, ბევრად არის დამოკიდებული თითოეულის შემდგომი სულიერი თუ გონიერული სტრუქტურა. ამ ჭკმშირიტებით ხელმძღვანელობს თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი დღიდან ქალბატონი ღონღ ზედელაშვილი

32 წელია რაც იგი თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დაწვებითი კლასების მასწავლებელია. ვინ მოთვლის, რამდენი გოგო-ბიჭი დააფრთიანა ამ ხნის განმავლობაში, რამდენს ასწავლა ანაბანა, რამდენს ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარული, მშობლიური ისტორიის პატივისცემა, რამდენი ძლიერ და კეთილ ნერგად იხარა მის მიერ ბავშვების სულსა და გულში ჩათვისილა სიყვითემ და სიყვარულმა.

ღონღ მასწავლებელს მთელ საქართველოში იცნობენ და პატივს სცემენ. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის მასწავლებელთა დახლოების საქალაქო ინსტიტუტში დაწვებითი კლასების მეთოდური კაბინეტის გამგედ და უშუალოდ უზიარებდა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ახალგაზრდა კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას და ცოდნას, ასწავლიდა, როგორ უნდა გაეკვალათ გზა პატივების გულამდე და გონებამდე, ეხმარებოდა სწავლების ახალი მეთოდების ათვისებაში. გარდა ამისა, ქალბატონი ღონღ განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური საატესტაციო კომისიის წევრი და საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრიც გახლდათ. ეს კი უწინარეს ყოვლისა, მისი მაღალი პროფესიონალიზმის ადარებაზე მეტყველებს.

ღონღ და გამოცდილება, უშრეტო ენერჯია და ზალისი, პედაგოგის საქმიანობის დიდი მნიშვნელობის შეგნება ამოძრავებს ქალბატონ ღონღას, როცა ასე დაუხარებლად მუშაობს პედაგოგის თეორიის საკითხებზე. იგი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ პედაგოგიურ კონფერენციებში, აქვეყნებდა მეთოდური ხასითის მასალებს ჟურნალში „დაწვებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა“. ღონღ ზედელაშვილის საქალაქო ღია გაკვეთილები ბევრი მისი კოლეგისთვისაც გაკვეთილია.

მაგრამ ადგილზე ტკეზნა და მიღწეულით დაკმაყოფილება ქალბატონ ღონღას არასდროს ახასიათებდა და არც დღეს ახასიათებს. მერე რა, რომ სანიმუშო მასწავლებელია, მერე რა, რომ დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს. ცოდნასაც და გამოცდილებასაც მუდმივი გამდიდრება სჭირდება, მითუმეტეს დღეს, როდესაც ქვეყანაში ძირფესვიანად შეიცვალა მოლიანად ცხოვრება და შესაბამისად განათლების სისტემაც. თუ მასწავლებელი ახალ მოთხოვნებს ფეხს არ აუწყოფს, პირველ რიგში თავის აღსაზრდელებს აზარალებს და ამის შეგნება არ უნდა ასვენებდეს არცერთ პედაგოგს. ღონღ ზედელაშვილი პროგრესულად მოაზროვნე შემოქმედებითი მასწავლებელი გახლავთ, მას სულ არ გასძნელება მუშაობის ახალი მოთხოვნების შესაბამისად აწყობა. იგი სისტემატურად ეცნობა პედაგოგიური მეცნიერების ახალ მიღწევებს და წარმატებითაც ნერგავს მათ პრაქტიკაში. საუცხოო ნაყოფი გამოიღო განმავითარებელი სწავლების და ინტერაქტიური მეთოდების დანერგვამ, თვალსაჩინოებისა და გასართობი თამაშების მიზნობრივმა გამოყენებამ, სისტემატურმა ტესტირებამ. ღონღ მასწავლებლის გაკვეთილებზე უყურადღებოდ არცერთი მოსწავლე არ ზის, მთელი კლასი აქტიურად მონაწილეობს გამოყითხვაშიც და ახალი მასალის ათვისებაშიც.

ღონღ მასწავლებელმა ზედმიწევნით კარგად იცის თითოეული თავისი მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, ხასიათი, განვითარების დონე, ათვისების უნარი და ამიტომაც არ უჭირს ნიჭიერი ბავშვებისთვის გონებრივი განვითარების პირობების შექმნა.

ღონღ ზედელაშვილის დეწლი სათანადოდ არის დაფასებული. თავის დროზე იგი საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების სამკერდე ნიშნებით დააჯილდოვეს; მისი საქმიანობა საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების საპატიო სიგელით აღინიშნა. ატესტაციის შედეგების მიხედვით მას „მასწავლებელ-მეთოდისტი“ წოდება მიენიჭა, გარდა ამისა, იგი უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი გახლავთ. ცალკე უნდა აღინიშნოს ის სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც ქალბატონი ღონღ ყველა თაობის კოლეგებს შორის სარგებლობს.

ცხადია, სასიამოვნო და სასიხარულოა ყველა ეს ჯილდოც და წოდებაც, მაგრამ ვერანაირი ჯილდო ვერ შეედრება ღონღ მასწავლებლისთვის ბავშვების სიყვარულს და პატივისცემას, ამაში ხედავს იგი საკუთარი პროფესიონალიზმის ყველაზე დიდ შეფასებას და აღიარებას და ამით არის ბედნიერი.





ფიქრები



ოფოშხერი



სოფელი

სოფელში კვლავ შემოდგომის წყნარმა სიომ დაჰბერა. გაზაფხულზე აყვავებულ ბუნებას ალაგ-ალაგ ოქროსფერი ფოთლები შეჰპარვია. ორღობეებში ვაშლისა თუ მსხლის გამაბრუებელი სურნელი ჩაბუდებულია, ყანები სიმინდის ტაროებით დახუნძლულია. ირგვლივ ყველა შრომასა და ჯაფაშია გართული. ვის არ ნახავ, დილით ადრე შარას რომ გაუყვე, ზოგი ძროხას წველის, ზოგი საქონელს მიერეკება, ზოგს მხრებზე თოხი გაუდია, ზოგს-ცული, ზოგი თიბავს. ყველა მხიარულად სალამს გეტყვის, მოგივითხავს.

სოფლის ბავშვები, დილაუთენია რომ აუღებთ და სახლიდან გავალთ, გვიანობამდე შინ დაბრუნება არც კი გვახსენდება. ხან ვის ეზოში შევძვრებით, ხან ვისაში. ხეზე ავძვრებით და ნაირ-ნაირ ხილს მივირთმევთ, თან ვფრთხილობთ, პატრონმა არ დაგვინახოსო. ზოგჯერ ხეზე ჩამოგვძინება და როცა გავიღვიძებთ... მაშინ იწყება მთელი ფივილ-ხივილი. გავცვივდებით, დავიჭვრთ მუზობლის ინდაურებს, გავაძრობთ ბუმბულს, გავიმურებით, მერე მივცვივდებით გენოდი ბიძიას თხებს, ზოგი რქებით დავიჭვრთ, ზოგი კი თხის მოწველას შევუდგებით, შემდეგ თხებს კვლავ საძოვარზე გავრეკავთ, იქ კი დამალობანას თამაშს შევუდგებით. უცბად შევჩერდები, ზუჩქის ძირას ჩამოვჯდები, ნ. დუმბაძის ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გმირი ზურიკვლა გამახსენდება, ცივა, ქარია, ქვეყანა იქცევა, ზურიკვლას კი უხარია. ასე ვართ ჩვენც-გაჭირვებაა, საკუთარ კერას, მშობლიურ კუთხეს მოწვევტილები ვართ, უფროსები დარდით ადარ არიან. ჩვენ კი მხიარულად ვერთობით და გვიხარია. მაგრამ ხვალინდელი დღის იმედი გვაქვს და იმიტომ გვიხარია.

თინათინ ჯიშკარიანი,
ქ. თბილისი. 173-ე საშ. სკოლა. VIII კლასი.
სთხუმელი ლტოლვილი

ფიქრები მძჷრთან ქარდაქარ,
რას უკრთდება ფიქრი?
საღლაკ მიდიან კარდაქარ,
და მიდის, მიდის, მიდის...
მიდიან ფიქრები, მიდიან,
ტუმინდელ ფიქრს რომ მიბეკება,
დეკანდელ ფიქრთა ჩაზბი,
ნეკავ სათუქნ მიდიან?
მიდიან, მიდიან, მიანც.

სოფიკო მორაბელაძე,
თბილისის 191-ე საშუალო სკოლა.
VII ბ კლასი

დავიო აღმაშენებელი

როცა დავითი თქქესქესის ტანდა,
ის ტახტზე დაჯდა.
მეუთა მეუე
იყო დავითი,
და ყოფილსქქმლე
მისი ხალხისთვის.
მან ერი ააღორძინა,
თურქები დაახოცნა.
მოყვარეს ტბლად ხელბოდა,
მტერს, მტრულად უსწორებოდა.

ნინო მაპარაშვილი,
თბილისის 191-ე საშუალო სკოლის
V კლასის მოსწავლე



ოფოშხერი



ხეთყუნყელას მურღი

შალის ძაფის გორგალი
ურანგული ზღაპარი

ბააფერადე

დედა მიეტა ისეთი ძუნწი იყო, ისეთი, რომ ერთხელ ძროხები მინდორში გასარეკად გამოიყვანა და თითისტარით ხელში გაუყვა გზას. ანახლად შალის ძაფის უზარმაზარი გორგალი დაინახა. შორიდან რაღაც პატარა ცხოველი ეგონა, რომ მიუახლოვდა, მიხვდა, რომ ძაფის გორგალი იყო, მსწრაფლ დაიხარა ასაღებად, მაგრამ ისე ჩქარობდა, რომ ის ქალი სულ არ გახსენებია, რომელსაც გორგალი დაჰკარგოდა. წარმოიდგინა, როგორ ჩაიდებდა ნაპოვნს წინსაფრის დიდ ჯიბეში, რომელიც თითქოს საგანგებოდ ასეთი გორგალისთვის ჰქონდა დაკერებული. დახრით კი დაიხარა დედა მიეტე, მაგრამ გორგალი ვერ დაიჭირა. მიგორავდა და მიგორავდა, დედა მიეტე კი არ ეშვებოდა, უკან მისდევდა. მერე ხელი რომ არ შეეშალა, თითისტარი მიწაზე მიაგდო. ახლა ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდა, მისდევდა გორგალს და ცდილობდა დასწვდომოდა, მაგრამ გორგალი გაურბოდა, შეუჩერებლივ მიგორავდა წინ.

დედა მიეტეს თავისი თითისტარიც გადაეიწყდა, გზაზე რომ მიაგდო და თავისი ძროხებიც, რომლებიც მშვიდად ძოვდნენ ბალახს. გიჟივით მისდევდა გორგალს, ის კი სულ გაურბოდა, ხელიდან უსხლტებოდა. გორგალის დევნაში ქანცვალეულმა მინდორი გადაირბინა და ისე ავიდა შატელ-გვიზონის ბორცვზე, რომ თვითონაც ვერ შეამჩნია. დედა მიეტე მზად იყო ქვეყნის დასალიერამდეც კი ედევნა უცნაური გორგალისთვის. ბოლოს, როგორც იქნა, თვითონ გორგალს კი არა, იქიდან გამომდინარე ძაფის ბოლოს სწვდა და მისი თითზე გადახვევა დაიწყო. ახვია, ახვია და ნელ-ნელა მშვენიერი დიდი გორგალი გამოუვიდა. ის, პირველი გორგალი კი მაინც არა პატარავდებოდა, ისევ მიგორავდა. მოხუცი დედა მიეტაც მოჯადოებულებით მისდევდა უკან.

ახლა უკვე კმაყოფილი იყო: ორივე ხელში შალის ძაფის უზარმაზარი გორგალი ეჭირა. ახლა ამ ძაფით ქმარს ქურთუკსა და შარვალს მოუქსოვს, თავისთვის ქვედატანს მოიქსოვს, დანარჩენ ძაფს კი გაყიდოს... მისდევს დედა მიეტა გორგალს და დაღვას სულაც არ გრძნობს. გორგალი უკვე იმხელაა, რომ ზედ ძაფი ვეღარ ეხვევა. გული დასწვდა, მაგრამ რაღას იზამდა, ერთი ამოიხარა და ძაფი გაწყვიტა.

უეცრად იმ ნანატრმა გორგალმა, ამდენი რომ სდია, ისუპა და თვალს მიეფარა. იმავე წუთას ის მეორე გორგალი, ასეთი ჭაპანწყვევით რომ დაახვია და ახლა სასაოებით ჰქონდა გულში ჩახუტებული, ხელიდან გაუსხლტა და გაგორდა. ეს რა დამემართა, ძლივს დაეახვიე და...—შეწუხდა მოხუცი. რაღას იზამდა, გაეკიდა გორგალს, სდია, სდია და ისევ ძაფის ბოლო მოიხელთა. ოცჯერ დაახვია ძაფი და ოცივეჯერ შრომამ ფუჭად ჩაუარა. არ უჩერდებოდა გორგალი ხელეში, გაურბოდა. ხალხი ხან ერთგან მოკრავდა თვალს დედა მიეტას, ხან მეორეგან. თმაგაწყვილი, არაქათამოცლილი, მისდევდა გორგალს და გამალებით ახვევდა ძაფს.

ქმარმა ძროხები მინდორში იპოვა, ცოლის თითისტარი კი გზის პირას. ხარბი დედა მიეტა კი ვერა და ვერ ჩერდება, დღესაც მისდევს გორგალს ტყე-ტყე, თუ მინდორ-მინდორ.

თუ გზაში პატარა ცხოველის მგავს შალის ძაფის გორგალს იპოვით, აუცილებლად აიღეთ, ოღონდ იმისთვის, რომ იმ ქალს დაუბრუნოთ, რომელსაც ის დაუეკარდა.



ხად მიდინარ, ილო-სბილო
ილო-სბილო ბაჯბაჯა?
კირუში, კირუში მქქარება,
ღრით კი სულ ღარ ღარ დაძრია!



ცესცი თინგიჯეზიბისთვის

პანიისი სარ, თუ?..

ამ ტესტის კითხვებზე კასუსის გაცემისას გახსოვდეს, რომ უნდა ჩაიწერო კირკელიზე გონივრული პერსია, რომელიც 30 წამში მოგაფიქრდება.

1. პროფესორი სადამოს 8 საათზე წვება დასაძინებლად, მადვიძარას კი დილის 9 საათზე აყენებს. რამდენს იძინებს პროფესორი?
2. შეუძლია თუ არა მამაკაცს საკუთარი ქვრივი შეერთოს ცოლად?
3. არის თუ არა 8 მარტი ავსტრალიაში?
4. მამედს ათი ცხვარი ჰყავდა. მოუკვდა ყველა, 9-ის გარდა. რამდენი ცხვარი დარჩენია მამედს?
5. შენ თვითმფრინავის პილოტი ხარ, რომელიც თბილისიდან პარიზში მიფრინავს და ორჯერ უნდა დაჯდეს ალჟირში. რამდენი წლის არის პილოტი?
6. საზოგადოდ ყოველი თვე 30 ან 31 რიცხვით მთავრდება. რომელ თვეშია 28 რიცხვი?
7. შენ ნაკლებად ნაცნობ ოთახში შედიხარ. ოთახში ბნელა და შიგ ორი ლამპა დგას: გაზისა და ბენზინის. რას აანთებ პირველ რიგში?
8. ერთი მატარებელი თბილისიდან ბათუმში მიდის, მეორე ბათუმიდან თბილისში. ისინი ერთდროულად გამოვიდნენ, მაგრამ პირველი მატარებლის სიჩქარე სამჯერ აღემატება მეორისას. რომელი მატარებელი უფრო შორს იქნება თბილისიდან მათი შეხვედრის მომენტში?
9. მამა-შვილი კატასტროფაში მოხვდა. მამა საავადმყოფოში გარდაიცვალა. შვილთან პალატაში შედის ქირურგი და აცხადებს: „ეს ჩემი შვილია“. შეიძლება თუ არა, რომ ეს სიტყვები მართალი იყოს?
10. არქეოლოგებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 35 წლით დათარიღებული მონეტა იპოვეს. შესაძლებელია, თუ არა ეს?
11. ხელებზე ათი თითია. რამდენი თითია ათ ხელზე?
12. რამდენი ცხოველი ჩაისვა ნოემ თავის კილობანში?
13. ექიმმა ავადმყოფს სამი ნემსი გამოუწერა, თითო-თითო ყოველ ნახევარ საათში. რამდენი დრო დასჭირდება ყველა ნემსის გაკეთებას?
14. რამდენი ცხრიანია 1-დან 100-მდე რიცხვთა რიგში?


15. მარტოხელა ღამის დარაჯი დღისით გარდაიცვალა. მისცემენ თუ არა მას პენსიას?
16. ერთი 7 სანთელი. 3 ჩაქრა. რამდენი სანთელი დარჩა?
17. აგური იწონის 1 კგ. პლუს კიდევ ნახევარი აგური. რამდენს იწონის აგური?
18. როგორი ბუჩქის ძირას ზის კურდღელი წვიმაში?

ახლა კი დაითვაღე არასწორი კასუსები და დააღიწე 306 ხარ:

- 0-1 გენიოსი
- 2-4 ინტელექტუალი
- 5-6 ნორმალური ადამიანი
- 7-8 რიგითი იდიოტი
- 9-10 რიგითი იდიოტი გვერდითი გადახრებით.
- 11-13 აბსოლუტური იდიოტი
- 14-15 არ გაგანჩია აზროვნების უნარი
- 16-18 საჭიროა შენი საზოგადოებისაგან იზოლირება.


სწორი კასუსები:

- 1 ერთი საათი (მადვიძარა ვერ არჩევს სად დილაა და სად სადამო).
- 2 არა (ქვრივი ხომ ის ქალია, ვისაც ქმარი მოუკვდა).
- 3 არის
- 4 ცხრა.
- 5 თვითმფრინავის პილოტი შენ ხარ (პილოტი იმდენი წლისაა, რამდენისაც შენ).
- 6 ყველა თვეში.
- 7 ასანთს.
- 8 ერთნაირად იქნებიან (შეხვედრის მომენტში მატარებლები ერთ წერტილში იმყოფებიან).
- 9 კი, თუ ქირურგი ამ ბიჭის დედაა.
- 10 არა. იმ დროში მონეტებზე მოჭრის თარიღს არ აწერდნენ.
- 11 ორმოცდაათი.
- 12 ყოველი სულდგმული წვეილ-წვეილად.
- 13 ერთი საათი.
- 14 ოცი.
- 15 არა, ის ხომ გარდაიცვალა.
- 16 სამი (სამი ჩაქრა, დანარჩენი კი დაიწვა).
- 17 1 კგ.
- 18 სველი ბუჩქის ძირას.



აფრიკული ნიანგის ბუდე დედალის მიერ ამო-
თხრილ ორმოს წარმოადგენს. მას შემდეგ რაც იგი
კვერცხებს დადებს, ბუდეს მიწითა და მცენარე-
ულით ფარავს. თუმცა დროდადრო მომავალი დედა
კვერცხებს ბუდიდან იღებს და მცირე ხნით პირში
იღებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიანგის ყბებს
საშინელი ძალის დაწოლა აქვს, ეს მანევრი ძალზე
ფრთხილად უნდა შესრულდეს და ასეც ხდება. 11-
14 კვირის შემდეგ (ტემპერატურას გააჩნია) კვე-
რცხებიდან პატარა ნიანგები იჩეკებიან და უმაღ-
ლესკენ მიბობლავენ. ასეთ დროს ისინი უსუსუ-
რები, დაუცველები არიან და ამიტომ ბევრი მა-
თვანი იღუპება.





ხალხური მუსიკა

ხალხური მუსიკა, ხალხური სიმღერა ხალხის ყოფა-ცხოვრების, მისი შრომის, ზეიმის და სიხარულის მრავალფეროვანი და სრულყოფილი ანარეკლია. სიმღერა ხალხის არა მარტო თანამგზავი და განუყრელი მეგობარია – ხალხის ცხოვრების წიაღში შექმნილი და საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებული სიმღერა თავისებური დოკუმენტიცაა. უსმენ მას და თვალწინ წარმოგიდგება მისი შექმნილი ხალხი, მისი გარემომცველი სამყარო: ბუნება და საყოფაცხოვრებო პირობები, ეთნიკური თვისებები და ეროვნული სულისკვეთება. უშუალო, ხშირად მიაშიტობამდე მარტივი ხალხური სიმღერა გულწრფელად, დოკუმენტური სიზუსტით გამოხატავს მისი ავტორის – ხალხის ყველა დამახასიათებელ თვისებას.

ხალხური სიმღერა უწინარეს ყოვლისა ხელოვნებაა, რომელიც შემოწმებულია დროის მსვლელობით და ხშირად მის მიერვე „რედაქტირებული“ და დახვეწილი. როგორც წესი, ხალხური სიმღერა ანონიმურია, ე.ი. ჩვენთვის უცნობია – ვინ არის მისი ავტორი, ვის მიერ არის შექმნილი. ოდესღაც კონკრეტული პიროვნების მიერ შექმნილი სიმღერა შემდგომ ზეპირად გადმოცემულია თაობიდან თაობაში. ცალკეულ ადამიანებს გარკვეული ცვლილება შეჰქონდათ სიმღერის აღნაგობაში, ტექსტში, შესრულების მანერაში. ასე მოაღწია ჩვენამდე სხვადასხვა ქვეყნის ხალხურმა მუსიკალურმა შემოქმედებამ. დღეს ამ შემოქმედების შესწავლას ემსახურება მუსიკალური ფოლკლორი, მეცნიერების შედეგებით ახალგაზრდა დარგი, რომელიც შეიარაღებულია ისტორიული, ეთნოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დისციპლინების მიღწევებით (ასე მაგალითად, ზოგიერთი სიმღერის შესრულებისათვის აუცილებელი პირობების შესწავლამ მეცნიერებას საფუძველი მისცა ივარაუდოს, რომ ისეთი სიმღერები, როგორცაა სვანური ჰიმნი ამომავალი მზისადმი – „ლილე“, ყველასათვის მახლობელი „იავნანა“, „მზე-შინა“ და მრავალი სხვა, ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში – კერპთაყვანისმცემლების მიერ არის შექმნილი).

ხალხური მუსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია, ვით თვით მისი შექმნილი ხალხის ცხოვრება. თითოეული ერის მუსიკალურ ფოლკლორში შეგზვდება განსაკვირვებელი სიმდიდრე მელოდირი სვლებისა, რიტმებისა და ხასიათებისა. მათში სჭარბობს არა გონებრივი, არამედ ემოციური საწყისი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – ხალხური სიმღერა ყოველთვის გულწრფელი გრძნობის პირმოშოა. უშუალოა აქ როდინიშნავს პრიმიტივის, მდარეს. ხალხური სიმღერა, რა უბრალო და მიაშიტიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ყოველთვის წუნდაუდებელია, გულმოდგინედ მოისმინეთ, რომელი სიმღერაც გნებათ, და თქვენ განცვიფრებული დარჩებით, ბგერათა ორგანიზაციის სრულყოფით – იქნება

ეს რუსული „გაბმული სიმღერა“, ზანგური „სპირიჩუელსი“, აღმოსავლური „შუადამის ჩუქურთმა“ თუ აფრიკელი ტომებისა ან ავსტრალიის აბორიგენების მოკლე და მარტივი მელოდირი „მოთქმა“.

არის კიდევ ერთი, ყველა ერის მუსიკალური ფოლკლორისათვის ფრიად დამახასიათებელი თვისება – ბევრი სიმღერა მეტად ძველი წარმოშობისაა, დაკავშირებულია საფერხულო შესრულებასთან, გამსჭვალულია აშკარად საცეკვაო რიტმით. ეს სრულიად ბუნებრივია, –ადრე ზომ სიმღერა ე.წ. სინკრეტული ხელოვნების ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა, სინკრეტული ხელოვნება კი სიმღერის, ცეკვის, პლასტიკისა და მაგიური მოძრაობის შერწყმა იყო.

ბევრ საერთოს ვნახავთ აგრეთვე სხვადასხვა ხალხის მუსიკის თემატიკაშიც. ყველგან შეგვხვდება საყოფაცხოვრებო, ისტორიული, ლირიკული, სალაშქრო, სუფრული და, რა თქმა უნდა, შრომის სიმღერები. შრომის სიმღერების დანიშნულება იყო არა მარტო შრომის პროცესის ერთგვარი გაადვილება, არამედ რამდენიმე ადამიანის შრომის ენერჯის გაერთიანება და ორგანიზაცია მთლიანი რიტმის მეშვეობით, რიტმისა, რომელიც თვით შრომის პროცესის სპეციფიკიდან, ადამიანების გარკვეული მოძრაობიდან გამომდინარეობდა.

აი, რაოდენ საინტერესო მოვლენაა ხალხური მუსიკა, ხალხური სიმღერა.

მაგრამ თქვენ ისიც იცით, რომ ხალხური მუსიკის გარდა არსებობს პროფესიული მუსიკა. კომპოზიტორები, რომელთაც გააჩნიათ სათანადო განათლება, ბგერათწერის ინდივიდუალური მანერა, საკუთარი მუსიკალური ენა და შემოქმედებითი პრინციპები, – ჰქმნიან ე.წ. „საკუთარ“ სიმღერებს.


პროფესიული მუსიკა ყველა ქვეყანაში ოდითგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. ამ კავშირის ფორმები მრავალფეროვანია. როდესაც ევროპის ქვეყნებში გაჩნდა ქრისტიანული რელიგია, ეკლესიის მსახურებმა აკრძალეს ხალხური სიმღერა, რათა სასულიერო საგალობლები, – დასავლეთ ევროპაში – ლათინური, ხოლო აღმოსავლეთში ბერძნულ-ბიზანტიური, – წარმოადგენდნენ პროფესიული





მუსიკის ერთადერთ გამოვლინებას, ისინი აღმოცენდნენ ხალხური მუსიკის – ძველი ებრაული ფსალმუნების, ასირიული და ბერძნული სიმღერების ნიადაგზე. მაგრამ ხალხური მუსიკის აკრძალვა და მოსპობა ყოველად შეუძლებელი იყო. ამიტომ სულ მალე ეკლესია თავისებურ დათმობაზე წავიდა, –სასულიერო რიტუალში გამოყენებულიყო პოპულარული, ძველი კერპსათაყვანისმცემლო ჰანგები, ცხადია, ახალი ტესტით. ახალ ტანისამოში გადაცემულმა ხალხურმა მუსიკამ თითქოს მიიღო „მოქალაქეობრივი უფლებები“. ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. ცნობილია მრავალი „თეორიული“ შრომა, სიტყვიერი გამოსვლა, დადგენილებებიც კი, ხალხური ხელოვნების – „ეშმაკის სიმღერების“ წინააღმდეგ. მაგრამ ამაოდ! ხალხური მუსიკა განაგრძობდა სიცოცხლეს. ეს კი მნიშვნელოვან იმპულსს წარმოადგენდა პროფესიული საერო მუსიკის შემდგომი განვითარებისათვის. იქ, სადაც პროფესიული მუსიკა ფოლკლორის ჯანსაღ ნიადაგზე ვითარდებოდა, ეროვნული მუსიკალური კულტურა ყოველთვის მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა, მას ყოველთვის ახასიათებდა თვითმყოფადობა.

1963 წელს თბილისის კონსერვატორიის სტუდენტმა ანზორ ერქომაიშვილმა თავისი ბაბუსაგან – ცნობილი ხალხური მომღერლის არტემ ერქომაიშვილისაგან მრავალი ძველი სიმღერა და საგალობელი ჩაწერა. უნდა ითქვას, რომ არტემ ერქომაიშვილის სიმღერათა რეპერტუარი არსებითად ქართული ხალხური მუსიკის ენციკლოპედიას წარმოადგენს. თავის ამხანაგებთან ერთად ეს მსცოვანი ადამიანი ხშირად ასრულებდა და ძველ საგალობლებსაც. ამ საგალობლებს ახასიათებს განსაკვიფრებელი ლამაზი, უჩვეულო აღნაგობა, ურთულესი ინტონაციური გადასვლა, მრავალხმიანობის მეტად ორიგინალური ფორმა. მათ შორის ერთი – საეკლესიო მუსიკაში ცნობილია „ღვთისმშობლის კანონთა საგალობლის პირველი ძილისპირის“ სახელწოდებით. საგალობლის ტექსტი ჯერ კიდევ X-XII საუკუნეების ხელნაწერებში გვხვდება.



ლიტერატურული მუხუშემის მეცნიერ-მუშაკმა ს. ლეკიშვილმა ქ. კიევიში, არქივების ფონდებში მუშაობის დროს აღმოაჩინა 1801 წელს ევროპული სანოტო სისტემით ჩაწერილი ორი საერო-ლირიული სიმღერა, დაწერილი ბესიკის ტექსტზე და ერთხანსავე ბელი (აღსანიშნავია, რომ ს. ლეკიშვილის ამ აღმოჩენამ და შემდგომმა გამოკვლევამ შეცვალა აზრი იმის შესახებ, თითქოს პირველად ქართული მელოდია ნოტებზე ფიქსირებული იყო მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში). ეს საგალობელი აღმოჩნდა ჩვენთვის უკვე ცნობილი „ძილისპირი“ ერქომაიშვილის რეპერტუარიდან, უფრო სწორად, მისი ერთი ე.წ. წინამძღვარი სტროფი-მელოდია. შედარებისას გამოირკვა, რომ 1963 წელს ჩაწერილი მელოდია თითქმის უცვლელი ასლია 1801 წელს ჩაწერილი ორიგინალისა.

ხალხური შემოქმედების მეცნიერული შესწავლა და იწყო შედარებით გვიან, XIX საუკუნეში. თუმცა ყველაზე პირველი კრებული, სადაც მოთავსებული იყო რამდენიმე სახასიათო ხალხური სიმღერა, გამოიცა, ჯერ კიდევ 1724 წელს, ინგლისში. გასულ საუკუნეში ევროპის ქვეყნებში თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ხალხური სიმღერების ჩაწერასა და შესწავლაში. გამოდის ასობით სხვადასხვა კრებული, პროფესიულ მუსიკაში სულ უფრო ხშირად მიმართავენ ხალხური ჰანგების გამოყენებას. იქმნება სიმღერის გაერთიანება-საზოგადოებანი... ასეთი ცხოველი ინტერესი ხალხური ხელოვნებისადმი განპირობებული იყო ხელოვნებაში ახალი მიმართულებით – რომანტიზმით. ამის შემდეგ სრულიად შეიცვალა დამოკიდებულება ხალხური მუსიკის მიმართ.

წარმოუდგენლად მრავალფეროვანია ქართული ხალხური მუსიკის რეპერტუარი: თუმ-ფშავ-ხეგუსურეთის მთებში შობილი, მარტივი, მოკლე, დაღმავალი მელოდიით აღბეჭდილი სიმღერა, ალაზნის ველივით გაშლილი, თავდავიწყებული კახური გაბმული ჩაქრულო, სვანეთით მედიდური, პირქუში, ჰიმნები, კოლხეთის მზით გამთბარი, ნაზი მეგრული ლირიკული ჰანგები, გურული სიმღერა-პაექრობის გაუგონარი სიმკვირცხლე!..

ქართულ ხალხურ სიმღერებზე წერდნენ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქართველოში ნამყოფი უცხოელი ისტორიკოსები და გეოგრაფები. ჩვენს ხალხურ სიმღერას დღესაც ალტაცებაში მოჰყავს ყველა, ვინც მას მოისმენს. მსოფლიოში თანდათან იზრდება ინტერესი ქართული ხალხური მელოდიისადმი.

ახლა ეს განძი – ქართული ხალხური სიმღერა – ჩვენს ხელშია. და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული – მოხვდება ეს სიმდიდრე მუხუშემების სეიფებში თუ განაგრძობს აღორძინებას და სრულყოფას. ხალხური მუსიკა შეიძლება შევადაროთ ჯაჭვს, რომლის თითო რგოლი თითო თაობაა!

შენ, ჩვენო ახალგაზრდა მკითხველო, თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდე, შეისწავლო და შეიყვარო ჩვენი ერის ეს ფასდაუდებელი საუნჯე, მისი სულიერი და ფიზიკური რაინდობის, სიბრძნისა და სინაზის, სიხარულისა და ტკივილის, ჭირისა და ღონის ამსახველი და მაჩვენებელი სარკე, – ჩვენი უბადლო ხალხური მუსიკა!



ადზარდე მებობარი



ბევრი ზრუნვა და დავიდარაბა უნდა ლეკვს თავისი სიცოცხლის პირველ წელს, განსაკუთრებით – პირველ თვეში, მანამ, სანამ გაიზრდება და პატრონისთვის სასურველ ჩვევებს შეითვისებს. მაგრამ მისი გონიერება ძალიან ადრე იღვიძებს. ყოველ კვირა, თითქმის ყოველდღე რწმუნდები, რომ შენს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია, რომ იმ ცელქ არსებაში, რომელსაც ჯერ ყურებიც კი ვერ აუცქევეტია წესიერად, თანაც ისე გვერდულად დარბის, გეგონება უკანა ფეხებს წინა ფეხების გასწვრება უნდათო, არის რაღაც ისეთი, რაც მას უფრო და უფრო საყვარელს ხდის შენი ახლობლებისათვის.

ეს „რაღაც“ ლეკვის საოცარი ათვისების უნარია. იგი ყველაფერს ხარბი ცნობისმოყვარეობით აკვირდება, ცდილობს გაიგოს ყოველი სიტყვა. ძაღლის ჩამოყალიბება ძირითადად ორი წლის ასაკში ხდება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი წვრთნა ამდენ ხანს დაყოვნო. პირობითი რეფლექსები იმ პირველი საათიდანვე უნდა გამოუმუშაო, როცა იგი შინ მიიყვანე. გაეისვენოთ: „ადგილზე, ადგილზე!“, დღის რეჟიმის მიჩვევა, კვების წესები, გასივრება და ა.შ. ზრდასა და განვითარებასთან ერთად, ეს რეფლექსები ცხოველში თანდათან მეტი და მეტი გროვდება.

ძაღლის სისტემატური წვრთნა ექვსი-რვა თვიდან იწყება, მაგრამ შენს აღსაზრდელს მანამდეც შეუძლია ზოგი რამ ისწავლოს: მაგალითად, შენი ბრძანებით დაჯდეს, დაწვეს, ადგეს, შორს გატყორცნილი საგანი მოგიტანოს, მოიბრბინოს შენს ძახილზე: „ჩემთან!“ და ა.შ.

თავიდანვე მიაჩვიე ლეკვი ამკრძალავ ბრძანებას: „ფუ!“ („არ შეიძლება!“) ასეთი რამ მკაცრად უნდა უბრძანო, ხოლო თუ არ გაგიგონა – მუქარის კილოთიც. პირველ ხანებში ამ დროს შეიძლება მსუბუქად გაასილაქო კიდევ.

მთელი წვრთნა სასუსნავის თანხლებით ტარდება: ყოველი ბრძანების შესრულებისთანავე მიეცი ლეკვს ხორცის ნაჭერი ან სხვა რამ გემრიელი საჭმელი (ოღონდ ცოტ-

ცოტა, რომ არ გამოძღეს და შენმა საჩუქარმა ფასი არ დაკარგოს).

არამც და არამც არ სცემო. მათრახი საჭირო არ არის. არ შეიძლება წვრთნის დროს ძაღლის დასჯა, გაღიზიანება. ნუ დაუყვირებ, ნუ დაკარგავ მოთმინებას. მკაფიო, გამოკვეთილი ხმით უბრძანე ხოლმე. ცემით მხოლოდ მონად გაზრდი, შენ ხომ მებობარი, ამხანაგი გჭირდება!

ძაღლი ძალზე ადვილად იწვრთნება, თუ მას საკმარის მოთმინებით მოეპყრობი, დროდადრო სიმკაცრეც საჭიროა, ოღონდ – ზომიერი. მოფერება და გულმოდგინება – აი, შენი იარაღი: ამ იარაღით ყოველივეს მიადწვევ, რასაც მოისურვებ.

წვრთნის საერთო კურსში შედის: ძაღლის დაჯდომა (ბრძანება „დაჯექი!“), დაწოლა („დაწექი!“) და ფეხზე დგომა („იდექი!“), პატრონის გვერდით სიარული საბელით და უსაბელოდ, ბარიერზე გადახტომა, კიბეზე ასვლა და ჰორიზონტალურად მდებარე მორზე სიარული, ხელოვნურად აყვება. არის აგრეთვე (ბრძანება „იყეფე!“) ბრძანებები: „იცურე“, „იხოხე“. მათი აზრი ნათელია.

როცა ძაღლს სანავარდოდ გაუშვებ, უთხარი: „ისეირნე!“ ეს ძაღლისთვის მეტად სასიამოვნო, სასიხარულო ბრძანებაა. პირიდან რომ რაიმეს აცლი, უბრძანე: „მომეცი!“ ძაღლმა ყოველთვის შენს მარცხნივ უნდა იაროს, საბელი არც დაჭიმული უნდა იყოს და არც მოშვებული. როცა რაიმეს გამოგინდა წახალისო, რამდენჯერმე გაიმეორე: „კარგია, კარგია“... თან იმავე დროს მუცელზე ხელი უსვი.

სიტყვიერი ბრძანებების გარდა, არსებობს ფესტი ბრძანებებიც, რომლებიც უხმოდ უნდა გაიცეს.

მოთმინება და გულმოდგინება


ჩვენ აქ მოკლედ ვისაუბრებ ჩვეულებრივ წვრთნაზე, რომელიც ყველა ძაღლმა უნდა გაიაროს. მაგრამ თუ გინდა, რომ შენმა აღსაზრდელმა უფრო რთული რამ ისწავლოს, რაც უფლებას მოგცემს, მას სასამსახურო ცხოველი უწოდო, საჭიროა სპეციალური წვრთნა.

რასაკვირველია, ბევრ თქვენგანს გაუგონია, რომ არსებობენ მეძებარი ძაღლები, რომლებიც დამნაშავეს კვალის მიხედვით პოულობენ, სანიტარი ძაღლები, უსინათლოთა მეგზური, ფოსტალიონი, მეკავშირე, მზვერავი ძაღლები და სხვ. სასამსახურო ძაღლებიდან ყველაზე ძველი და გარვცელებულია დარაჯი, მესაზღვრე და ფარეხის ძაღლები.

ოჯახურ პირობებში ძველია ძაღლმა წვრთნის სპეციალური კურსი გაიაროს, ხშირად კი ეს შეუძლებელიცაა. მეძებრის მოსამზადებლად, მაგალითად, არსებობს განსაკუთრებული სკოლები – სანაშენეები მეძებარი ძაღლებისა და მათი გამოყვლებისათვის. ამიტომ მუდმივი კავშირი უნდა გქონდეს სასამსახურო მეძაღლეობის კლუბთან, თუ ასეთი რამ შენს ქალაქშიც არის. იქ შენ დაგეხმარებიან ძაღლის იმ სპეციალობით აღზრდაში, რომელსაც მისთვის აირჩევ.

ოღონდ უნდა გაითვალისწინო შენი აღსაზრდელის ჯიშო. მაგალითად, დობერმანს მარხილში ვერ შეაბამ – თოვლში, სუსხში მალე გაითოშება. უნივერსალურ ძაღლად ითვლება აღმოსავლეთიევროპული ნაგაზი, იგი ყოველგვარი სამსახურისთვის გამოდგება. სპეციალური კურსით წვრთნა გაცილებით მეტ ცოდნასა და დროს მოითხოვს, რომ არაფერი ვთქვათ მოთმინებასა და გულმოდგინებაზე. მაგრამ სწორედ სპეცი-

გაგრძელება 30-ე გვ.



თონ ინანებ, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

სიტყვა არ გატეხო

უბრუნდებით ჩვენი საუბრის დასაწყისს. სანამ ლექსს აიყვანდე, ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ თქვი შენთვის: „მე მას აღზრდი!“ ჰოდა, რაკი იტყვი, სიტყვა არ უნდა გატეხო! ძაღლის აღზრდა შენ თვითონ მოგიწევს და სხვების იმედით ნუ იქნები, ამ ტვირთს უფროსებს ნუ აჰკიდებ. ამიტომ, სანამ ძაღლს იყოლიებ, ყველაფერი აწონ-დაწონე, დაფიქრდი.

თორემ ასეც ხდება ხოლმე: სანამ არა ჰყავს ლექვი, ბიჭი ეხვეწება, ემუდარება დედას, ათას ფიცს აძლევს, მე თვითონ მოუვლიო. მაგრამ, უყიდიან თუ არა, ერთი-ორჯერ თავს გაირთობს მისით და მერე მიატოვებს, ყურსაც არ უგდებს. ასე არ ვარგა! რაკი პირობა დაღე, კიდევაც მოუარე ცხოველს.

ძაღლი თქვენი ოჯახის ყოველდღიური ცხოვრების ერთგარ ბუნებრივ დანამატად უნდა იქცეს.

რაც შეეხება თავის შექცევას, ძაღლი ისეთი კომპანიონია, რომელთანაც არ მოგწყინდება. ძაღლს პატრონის გვერდით ყოფნა ყველაფერს ურჩევნია. ოღონდ ერთი დაუძახე და, სიხარულისაგან თავდავიწყებული მაშინვე გამოიქცევა შენგან. განსაკუთრებით კარგია ძაღლთან ერთად შორი გზის გაგლა ტყეში, გორებზე, მინდორში. ოღონდ ძაღლიან დიდხანს ნუ არბენინებ ძაღლს შენ უკან მტვრიან გზაზე.

ყინვები ნუ შეგამინებს: ძაღლი ძაღზე იშვიათად იყინება. სამაგიეროდ, სიცვივეს შეჩვეული ძაღლი უფრო ამტანი და ჯანმრთელია.

ხანგრძლივი ვარჯიში, სპორტული წრთობა ორგანიზმს აკაუებს: იგი შენთვისაც სასარგებლოა და ცხოველისთვისაც, ძაღლი უფრო სიცოცხლისუნარიანი, უფრო ძლიერი გაიზრდება. **ქურნალ „იუნი ნატურალისტთან“**

აღური კურსი აქცევს ძაღლს საზოგადოებისათვის სასარგებლო ცხოველად. ასეთი ძაღლი შეიძლება საზღვარზე გაიგზავნოს და იქ იგი მესაზღვრეებს დაეხმარება. იგი გახდება საწყობების, მაღაზიების, სამრეწველო საწარმოების დარაჯი, და, შიში ნურაფრისა გექნება – ასეთ დარაჯს წამითაც არ ჩაეძინება!

სასამსახურო ძაღლს სროლის ხმისა არ უნდა ეშინოდეს. სროლის ხმას იგი თანდათან უნდა მიეჩვიოს, თორემ შეიძლება დაშინდეს და სამუდამოდ მშობარა გახდეს. უცხო კაცის ხელით მიწოდებული საჭმელი არ უნდა მიიღოს. სასამსახურო ძაღლი კარგად ცურავს, ჩინებულად დარბის და დახტის, გულადია, უცხოების მიმართ მიუხდობელია.

ყოველივე ეს თანმიმდევრული წვრთნით მიიღწევა.

აბა დაუკვირდი, როგორ უჭირავს თავი სწორად აღზრდილ ძაღლს! იგი ტყუელ-უბრალოდ არ ყფვს, უმიზნოდ არავის არ ერჩის.

გვერწმუნეთ, რომ ყველა იმ უსიამოვნებაში ზოგჯერ ძაღლის პატრონი ზოგჯერ, რომ ვარდება ხოლმე, დამნაშავე, ჩვეულებრივ, ძაღლი კი არ არის, არამედ, ადამიანი, უმეტესად კი – ძაღლის პატრონი, რომელმაც წინდაწინ არ გაწვრთნა იგი სათანადოდ, არაფერი იღონა, რათა ასეთი რამ არ მომხდარიყო.

ვინ არის იმაში დამნაშავე, რომ შენმა ძაღლმა ქუჩაში ვიღაცა შეაშინა და ამის გამო ერთი ალიაქოთი ატყდა? რასაკვირველია, შენ. ყოველთვის შენა ხარ დამნაშავე, მაშინაც კი, თუ გამეღელმა პირველმა მოუქნია ჯოხი ძაღლს. შენ წინასწარ უნდა გაგვეთვალისწინებინა ეს.

კარგი ძაღლის ქცევამ ირგვლივ მყოფთა აღტაცება უნდა გამოიწვიოს, შიში და აღშფოთება კი არა. ხალხში ძაღლი მშვიდი და უწყინარი უნდა იყოს, ღამით, უკაცრიელ ადგილებზე კი – უნდა ფხიზლობდეს და პატრონთან არავინ არ უნდა მიუშვას.

წვრთნა აუცილებელია ყოველი სასამსახურო ჯიშის ძაღლისთვის. მეძაღლეობის კლუბები, ყოველწლიურად აწყობენ ძაღლების გამოფენას, გამოცდას და შეჯიბრებებს. გამარჯვებულ ძაღლებსა და მათ პატრონებს მეძაღლეობით, მეტონებით და ფასიანი პრიზებით აჯილდოებენ. პატრონებს, ამას გარდა, დიპლომებსაც აძლევენ. გაუწვრთნელად შენი ძაღლი ვერ მიიღებს პრიზს გამოფენაზე, რაც არ უნდა კარგი იყოს შესახედავად – ასეთია კანონი. საერთოდ, უწვრთნელი ძაღლი არასრულფასოვანი ცხოველია. და თუ თავის დროზე არ შეუდგები შენი ოთხფეხა პირუტყვის აღზრდას, ბოლოს თეი-





სიცილის გაჯუთილი

—მითხარით, გეთაყვა, ის თქვენი ბიჭუნაა, ჩემს შარვალში სილას რომ ყრის?—ჰკითხა ბატონმა მაიერმა გვერდით მჯდომ კაცს.

—არა, დისწულია, —მიუგო მან,—ჩემი ბიჭუნა აგერ ის არის, თქვენს შლიაპას წყლით რომ ავსებს.

სკოლიდან დაბრუნებულმა პეტერმა მამას ახარა: დღეს უკანა მერხზე აღარ ვიჯექიო. (გერმანიაში უკანა მერხზე ყველაზე ჩამორჩენილ მოსწავლეებს სხამენ).

—კარგია, შვილო, კარგი! აბა, მომიყევი, რატომ გადმოგსვეს წინ?

—იმიტომ რომ, უკანა მერხი შელებეს,—მიუგო ბიჭმა.

გამყიდველმა პატარა მუშტარს ქოთანში თაფლი ჩაუსხა და უთხრა:


—აი, ბიჭიო, 50 პფენინგისა, ფული სადა გაქვს?

—ქოთანში,—მიუგო ბავშვმა.

მასწავლებელი: ტომ, მითხარი, რომელ ბრძოლაში განაცხადა გენერალმა ვულფმა: „ჩვენ ვძლიეთ მტერს და ბედნიერები ვკვდებითო“?

ტომი: თავის უკანასკნელ ბრძოლაში, მასწავლებლო.

პატარა კურტმა დედას უფროს ძმაზე შესჩივლა: მა-



ქსმა სილა გამარტყაო.

—ნუ სტყუი, თორემ კიდევ გაგარტყამ, —შეუბღვირა მაქსმა.

—დედა, იცი, მე ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე არქტიკის მკვლევარი გავხდე.

—ძალიან კარგი, შვილო, მივესალმები შენს გადაწყვეტილებას.

—ალბათ, დამეთანხმები, რომ მზადება ახლავე უნდა დავიწყო და უარს არ მეტყვი ექვსი პენსის მოცემაზე, ნაყინი უნდა ვიყიდო, რომ სიცივეს აქედავებ შევეჩვიო.

კურტს სკოლაში დააგვიანდა. გაკვეთილი კარგა ხნის დაწყებული იყო. ბიჭმა მორიდებით შეალო კარი და მასწავლებელს კლასში შესვლის ნებართვა სთხოვა.

—შემოდი, შემოდი,—უთხრა მასწავლებელმა. მერე კი ჰკი-

თხა: რატომ დააგვიანე?

—ხომ იცი, როგორ ყინავს დღეს, ქუჩები ისეა მოღობული, რომ ერთ ნაბიჯს რომ წინ გადმოვდგამდი, ორი ნაბიჯით უკან მივსრიალებდი.

—ხედავ შენ, რაში ყოფილა საქმე? საინტერესოა, ბოლოს როგორ მოაღწიე სკოლამდე?

—სულ უბრალოდ, მასწ, სკოლისკენ ზურგით შემოვბრუნდი, პირი კი სახლისკენ ვქენი.

მასწავლებელი: როგორ ფიქრობ, ჯონ, შექსპირი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, იქნებოდა თუ არა არაჩვეულებრივი ადამიანი?

მოსწავლე: რა თქმა უნდა, ის ხომ ახლა 400 წლის იქნებოდა!

ათი წლის ვილიმ თავის მასწავლებელს დაურეკა.

—პატივცემულო ვაგნერ, ვილი ბრაუნი ავად გახდა და დღეს სკოლაში ვერ მოვა.

—სამწუხაროა, სამწუხაროა, —მიუგო მასწავლებელმა. მითხარით, გეთაყვა, ვინ შელაპარაკება?

—ვინ გელაპარაკებათ? ვინ გელაპარაკებათ და...—აბლუკუნდა ვილი,—მამაჩემი.

—დედიო, ჩვენი ხატვის მასწავლებელი ცხენს ვერ სცნობს.

—როგორ თუ ვერ სცნობს? —დღეს კლასში ცხენი დაეხატე და მკითხა: ეს რა არისო?




იჭილე - მიჭილე

კროსვორდი

მუქ უჯრედებში შვეულად უნდა მიიტოო „ჩემი ენა ქართულა“.

შეადგინა ბალდაის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ბექა ქურხულმა




თარგმნა: 1. ფარაონების სამარხი; 4. ქათმების საცხოვრებელი; 7. მეტყველების ორგანო; 8. ადგილი მდინარეზე, სადაც წყალი დიდი სიმაღლიდან ეცემა; 12. ძველი ქართული კერა, რომლის სახელწოდების ციხე-სიმაგრეც არსებობს ქ. მცხეთაში; 16. სომხეთის დედაქალაქი; 18. ბჟოლა ანუ... 19. აფრიკის სახელმწიფო; 21. კურორტი საქართველოში, სადაც ცნობილი ობსერვა-


ტორიაა; 23. რა აქვს ადამის ოცდათორმეტი?; 25. უნგრელი კომპოზიტორი; 26. და 28. იაკობ გოგებაშვილის დედაენის პირველი სიტყვები; 27. ქუთაისის ძველი სახელწოდება.

შპუალა: 2. აშშ-ს ჩრდილო შტატი; 4. სამიანი ნარდში; 5. ... კარენინა; 6. საერთო ენის და მიწა-წყლის მქონე ადამიანთა ისტორიული გაერთიანება; 10. „ნელა მოსი-

არულე“ ქალის სახელი; 11. შემოკლებული „ქალო“, იხმარება მიმართვის დროს ქალების საუბარში; 13. სხვადასხვა საშუალებით ხრწნისგან დაცული ადამიანის გვამი. 14. ათჯერ ასი; 15. ტლანქი ანუ... 17. გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ პერსონაჟი ქალი; 20. მდინარე ციმბირში; 22. წამლის ტაბლეტი; 24. მესამე მუსიკალური ნოტი.




სულ რამდენი წრეა ნახატზე?



როგორი გზა უნდა აირჩიოს ფითელქუდას, რომ გზელს გაზიასთან მისვლა დაასწროს?

საქართველოში მომავალი

საქართველოში
ბავშვთა მოძრაობა




კულრაჭა მარიამ მდივანს 16 იანვარს ორი წელი შეუსრულდა. მშვენიერ და ჭკვიან მარიუკოს დაბადების დღეს ულოცავენ. გზვევიან და ბევრს, ძალიან ბევრს კოცნიან მამიდა ლუკო და მისი საფვარელი ჯუჯუდანა (რუსულან ჩიგვაიძე). ჩვენს მარიუკო, გილოცავთ და გისურვებთ ბედნიერებას და სხარუოს!



ნინო ნიფაძე, ნიუ-ჯიუ
სკულის მოხსენვე,
12 წლის

„ნაჯარის“ უჩინარი



სალომე ჯანელიძე, 10 წლის